

345
1893 | 3

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ ମେଲ୍
ବିଦ୍ୟାଲୟା ମେଲ୍

No V



1893

ქურნალის «ჯეჯილი»-სა

ს. გ.	ტემა	
I.	ჭრიჭინა და ტოტი ლექსი—თ. რაზიკაშვილისა	3
II.	ახალი კურტკის ბედ-ილბალი (ფრანგულიდან) — ნ. თ. წ. — სა .	5
III.	ვერხვი ლექსი — დეტექტელისა	12
IV.	პატარა ხანუმა (სოფლის ცხოვრებიდან) — თ. რაზიკაშვილისა .	14
V.	გუვული ლექსი — თეოზ. ჭანდელავისა	20
VI.	ისტორიული ამბავი — იაკობ სვიმონისძისა	23
VII.	ძერა და მელია (ხალხური ლექსი ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ). .	29
VIII.	ყვავილების ნადიმობა (ზღაპარი) — ლ. ორშირელისა	30
IX.	სამი სურათი ლექსი — ჭ. მღვმელისა	35
X.	წიგნის ამბავი — ლექსისაბ ციცი შვილისა	38
XI.	მოსწავლეს ლექსი — დიმიტრი მაჭადარიანისა	44
XII.	გარალოვი (ზღაპარი, წარმოდგენილი ნ. ყ — ლის მიერ).	45
XIII.	რძიანა შეცნარები, — ილიჭოსი	49
XIV.	იოსების თავგადასავალი — წევალტუშელისა	55
XV.	ბევობრების დევნა — ი. ს. — ძისა	59
XVI.	სამ ქვა-გაჭრიანა თამაშობა ჭ პატარა ელენე	60
XVII.	ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსი, ზმა, ჩქარა გამო- სათქმელი, აკროსტიხი, მათემატიკური გიმოცანა, შარა- და და რებუსი	61

3ისაც ჰსურს წარსული წლების „ჯეჯილი“-ს ნომრების ყიდვა, შე-
უძლიათ იყიდონ ქ. ტფილისში ქართულ წიგნების საკითხაეში (არ-
წრუნისეულ ქარგასლის ეზოში) თვით რედაქციაში (Большая Водовоз-
ная ул., № 22) და ქ. ქუთაისში ძმათა წერეთელთა წიგნის მაღაზიაში.

ჯეჯილი

ს ა ყ მ ა წ ვ ი ლ ი 6 ა ხ ა ტ ე გ ი ა ნ ი

ე უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მწვანე ჯეჯილი,
დაპურდი, გახდი ყანაო!...

• ღ •

№ ۷

შემუშავი ე ე მ თ ხ ე ნ .



ტ ვ ი ლ ი ს ი

სტამბა ჭიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა Типографія Груз. Издат. ТОВАРИЩЕСТВА

1893

Доведено цензурою Тифлисъ, 30 Августа 1893 года.



ჭრიჭინა და ცოცი

(იგავი)



ქნახს რწეავდენ, ჭრიჭინასი
სორო წეალმა ამოავსო;
გაიწუწა, აღარ შერჩა
მძრალი აღარც ერთი ასო.

როგორც იუ ბუდიდამა
ამოფოვნდა მალით—სერხით,
რა ქნას, ვეღარ გაცურდება
და ვერც გამოჭრობავს ფეხით!


ისრჩობოდა. იმის ბედზედ
წეალს მოჭქონდა ნერგის ტოტი,
ჭრიჭინასაც ეს უნდოდა,
ზედ შეახტა, როგორც ბოტი.

მოეჭიდა, მიიხუტა,
შემოჭხვია თრივ სელი,
ახლა აღარ ემინიან,
ღმერთი არის საწელის მშელი.

ଗାମଳୁଖିରା ମନ୍ଦିରରେ ନାହିଁ,
ଗାମଳରିଯା ନାହିଁ କିମ୍ବା ନାହିଁ,
ନାହିଁ କିମ୍ବା ନାହିଁ ନାହିଁ,
ନାହିଁ ନାହିଁ ନାହିଁ ନାହିଁ,

ତୁମ୍ଭର ପଦ୍ମଚନ୍ଦ୍ରର ପଦ୍ମଚନ୍ଦ୍ର,
ତୁମ୍ଭର ପଦ୍ମଚନ୍ଦ୍ରର ପଦ୍ମଚନ୍ଦ୍ର,
ତୁମ୍ଭର ପଦ୍ମଚନ୍ଦ୍ରର ପଦ୍ମଚନ୍ଦ୍ର,
ତୁମ୍ଭର ପଦ୍ମଚନ୍ଦ୍ରର ପଦ୍ମଚନ୍ଦ୍ର!

ଅ. ରାଜିବାନ୍ଧୁଲି



აზალი კურტკის ბედ-იღბალი



(ფრანგულიდან)

ოფელ საკახის არემარტედ გათქმული იყო ზინ-
გერი, როგორც ტანისამოსის კაი მკერავი. ისე
ლაშათიანად გამოაწყობდა ტანზედ ტანისამოსს,
რომ ყველას სანატრელად ჩემბოდა იმისი შეკე-
რილი ტანისამოსის ჩაცმა.

ერთ დილით მკერეალი ზინგერი მოდიო-
და და მოჰკონდა ახლად შეკერილი კურტკა,
რომელიც სიმოლეს ცოლმა შეუკვეთა თავის
შეილისათვის — პეტრიკასთვის. ზინგერი მხია-
რულათ სტევნდა, კაი მუშტართან მიჰკონდა

ტანისამოსი, ფულის მოცემაზედ ნალდი იყვენ და კაი არაყსაც გა-
დააკურევინებდენ. ზინგერი დაბლა თავის დაკვრით შეეიდა სიმოლეს
ოჯახში. სახლის პატრონი წამოუდგა ფეხზედ, მოიჩინა პატარა პეტ-
რემაც. შეიდი-რეა წლის ფუნჩულა ყმაწვილი სიხარულით აღარ იყო,
ამოწითლდა. საჩქაროდ გაიძრო ძველი კურტკა და ახალი გადიცვა.
რაღა თქმა უნდა, რომ კურტკა მშევნიერად გამოაწყობილი გამოდგა.
მოგროვდა მთელი ოჯახი და ყველა აღტაცებით შესცეროდა: შე-
მოეიდა მამა, რომელსაც წისქვილში ეჩქარებოდა ხორბლის წალება,
შემოეიდა ბებია ლასლასით და წინდის ქსოვით, მოჯამავირე დედა-
კაცი აქ გაჩნდა, ბატებმაც კი თავები შემოჰყვეს კარებში.

სიმოლეს ხელ-ფასი უნდა მიეცა. მუშა ხალხისთვის ეფრე ადეი-
ლი არ იყო ოთხი მანეთის გამომეტება.

— ოთხი მანეთი ძვირია, აქ რა არის ოთხი მანეთისა, აფრე
ძვირად რათა ჰქერავ!

— დალოცვილებო, დახეთ რამდენია გაღაკეცილი, სამემრისოდ
შეიძლება გაგრძელდეს, ჩამოიშვას. დახედეთ ამ ფოლაქებს და! ჯერ
ესა ლირს სამი-ოთხი აბაზი.

— აჲ! ამ ცელქმა ლამის გადაგვეჭამოს, თქვენ არა გყავთ ყმა-წეილი, არ იცით რა ცეცხლში ვართ ხოლმე პეტრესავან.

— აბა, პეტრე, ხომ დაჭივიანდები, ხედავ რა ძეირად მიღირს ეს კურტკა, უნდა კარგა ხანს იმყოფინო. იცოდე, თუ ან ლურსმან-ზე ამოვიგოლეჯია, ან ლაქა მოვიცხია, ნულარ დამენახვები თეალით. ავიღებ და მიგცემ მენახშირეს.

გახარებული პეტრე დასცექეროდა თავის ბრჭყვიალა ფოლა-ქებს და ყველაფერზედ პირობას აძლევდა თავის მამას. მოხუცებუ-ლი ბებია თავს აქანებდა და ალერსით შესცექეროდა თავის შეი-ლისშეიღს.

მკერვალმა გამოართვა ხელფასი, გადაჭრა არაყი და წაეიდა. ყველა წაეიდ-წამოვიდა. თავიანთ საქმეებს დაადგენ. ბატები უნდა გაელალათ მინდორში; რადგან კვირა იყო და პეტრე სასწავლე-ბელ ში არ წავიდოდა, იმას ჩაბარეს ბატების მოვლა. პეტრემაც აიღო წკეპლა, მოაგროვა ბატები, გაიძლოლა წინ, მაგრამ კვლა-ვინდელიერით ბატები პირდაპირ მინდორში კი არ გაიყვანა, სოფელ-ზედ მოატარა, რომ ყველას თვალი დარჩენოდა იმის ახალ კურტ-კაზედ.

— ოჲ, პეტრე, რა მშვენიერი კურტკა გაცვა! ჩვენ ბატო-ნიანს. სანდროს ტანზედაც არ გეინახავს მაგისთანა კარგი კურტკა, უუბნებოდენ ბიჭები.

— პეტრემ გაუარა, სალაში არ მისცა, არავის ყური არ ათხო-ვა, თითქოს არ ესმისო.

ცოტა მოშორებით, წყაროს თავზედ ორი ამისი მეზობელი მეუბნეარი ბიჭი კოჭაობდენ. პეტრე ისე ამაყათ ერეკებოდა ბატებს, თითქოს ჯარის უფროსიაო. თავის ტოლ-ბიჭებს არცკი შეხედა. ბა-ტებმა კი ბიჭებს კოჭები გადუბრუნა.

— შენ ეი! როდის დაუწყე ბატებს კოჭების თამაშობის სწავ-ლება, უთხრა გაჯავრებით ერთმა მოთამაშეთაგანმა. მეორემ კი რო-მელიც მოგებაში იყო, თამაშობის არევის დროს, დაავლო ქვას ხე-ლი და ბატებს ესროლა. ბატებმა ფრთები გაშალეს და დაიწყეს ძალზედ სისინი.

გაჯავრებული პეტრე მიაფრინდა ბავშვებს. მუშტებით და წინ-ლებით მოჰყენ ბრძოლას. პატარა ხანს უკან პეტრე დამარცხდა

აზალი კურტკის ბერძილი ბალი

და ჩავარდა წუმპოში წყაროს წინ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დღე დაადგებოდა იმის ახალ შეკერილ კურტკას. შეჩეხვენილი პეტ-რე ამოვიდა წუმპოდან და გაჰსწია მინდერისკენ. ბატებს კისრები წინ წაეღოთ და სისინით მიდიოდენ.

პეტრე მიეიდა მინდორში, შუადღის სიცხემ მოუჭირა. ბატე-ბი სიხარულით მდინარის ნაპირას მიეცენ განსვენებას და მიჩუმ-დენ.

— ახლა კი ჩემს კურტკას ყური უნდა ვუკდო. სოქვა პეტრე და ასრულა კიდევ.

კურტკა გაიხადა და დაიწყო რეცხა. ტალახის ლაქები წყალს კარგა ამოჰყავდა სქელ დრაფიდან, მაგრამ კურტკას ლაპ-ლაპი გაპქონდა, არ ჩაიცმეოდა. ჩვენმა ბატების მოურავმა ჯერ ყურები ჩამოყარა. მაგრამ დიდხანს არ ინალელა და ითიქრა: რა ვუყოთ, პერანგის ამარას დავრჩები, სანამ კურტკა გამიშრებოდეს და ბუჩქ-ზე—მზეზედ ჩამოჰყიდა გასაშრობად. ახლა პეტრეს საქმე აღარა ჰქონდარა და გაითიქრა:—მოდი ვიბანებ, მაინც ცხელაო.

— ცივი და სასიამოვნო წყალი ყოფილა! ფიქრობდა პეტრე, შიგ რა შვენიერი თევზებია, სულ ვერცხლის ფერები. კარგი იქნება რომ დაეიჭირო და დედას მივუტანო— პეტრე თევზებს გაჰყა, დაა-ვიწყდა თავისი ბატებიც, თავისი კურტკაც. მისდევს და მისჲევს მდინარეს იმ იმედით, რომ თევზებს ბლომად დაიჭერს.

დადგა სამხრობა, მაგრამ სახლში არა სწუხან, რომ პეტრე აქამდის არ დაბრუნებულა, რადგან დედამ სამხარი თან გაატანა. ბებია არწევს თავის შეილიშეილის აკვანს და დალულუნებს. ამას არ დაეიწყებია, რომ მისი საყვარელი პეტრე დღეს ისე შვენივ-რად გამოეწყო ახალ კურტკაში.

სანამ კურტკა შრებოდა ბატებმა დაისვენეს და შუა გულ მინ-დორში გასწიეს, ვის ქერი გაუფუჭეს და ვის პური გაუოხრეს. საღ იყენების პატრონები, რომ ბატები ფეხებ-შემოუმტკრეველივე დარჩენ.

პეტრე ისევ ისე მდინარეს მისდევდა. უეცრად ვიღაცები დაი-ნახა და ტირიფის ხეს მიეფარა. ეს იყო ერთი ამათი მეზობელი თა-ვისი რძლითა. პურს მკიდენ ახალი მაშინით, კაცი ჩიბუხის წევით იჯდა მაშინაზედ და ატარებდა და რძალი კი სწევდა ამ მაშინს წინ.

— გასწი ყოჩალათ, დედაკაცო, გასწი!

პეტრე მაშინვე მიიმალა, ეშინოდა მეზობელს არ დაენახა ასე პერანგის ამარას და რომ არც ბატები ახლო-მახლო მოჩანდენ და არ ეთქვა ამის მამისთვის. მაშინ ვაი პეტრეს ყურების ბრალი. მე-რე რანაირად იცის ამისმა მამამ ყურების აწევა. მეორე დღემდის წითლათა აქვს ხოლმე.

— ჰეი! ჰეი! გასწი რალა, დედაკაცო!

ესენი მალე მოშორდენ ამ ადგილას, გამოვიდა პეტრე თავის საფარიდან.

— დახეთ რა უბედურება! ალარც ბატები მოჩანან, ალარც კურტკა!..

ბატები მალე იპოვა შუაგულ მინდობრში, იმათი მოვროვება ძნელი არ იყო, მაგრამ კურტკა კი არსალა ჩნდა.

— ღმერთო ჩემო; ეინ მომპარა! უთუოდ ეინშე მომპარავდა, თორე სად წაეიდოდა!

კურტკა თურმე მკის დროს მაშინას მოსდებოდა, მაშინა დიდ-ხანს თურმე ათრევდა, მერე დედაკაცს მდინარის ნაპირას ტირიფზედ ჩამოეკიდნა. ტირიფს ვერ შეემაგრებინა და წყალში ჩაეარდნილიყო. წყალს კურტკა ჯერ ნელ-ნელა მიჰქონდა. მერე შესახევეში აჩქარებულ წყალს წისქვიდ ისაკენ რომ ტოტი მიდიოდა კურტკა იმაში გადეტანა.

პეტრე დიდხანს მწარედ ტიროდა, მერე ცოტა გული მოი-ბრუნა და სამხარს მოუჯდა. ამას თავმოყეარეთ რომ არ გამოევლო სოფელში ხომ არც ჩაუბი მოუკიდოდა და არც წუმპოში ჩაეარდებოდა. ახლა რალასა იქს? პერანგის ამარას ხომ არ შევა სოფელში, რომ ყველამ დასკინოს, უნდა მოეცალნა, სანამ კარგა არ დაღამდებოდა.

სიმოლე როგორც წინეთა ვთქვით წისქვილში აპირებდა და წაეიდა კიდევ. მიიტანა ხურბალი დასაფეხავათ. დააყრევინა საფქეა-ვზედ და გამოვიდენ ისიც და მეწისქვილეულ დასხდენ გარეთ, და-ცქეროდენ აქაფებულ წყალს და ბაასობდენ. უეცრად სიმოლე და-აცქერდა წყალს, მეწისქვილეს ლაპარაქს აღარ უგდო ყური. შეში-ნებული აქეთ იქით იხედება. არა სცდება, თვალები არ ატყუებს,

ასალი კურტკის ბედ-იდზალი

9

წყლის ქაფში დაინახა პეტრიკას კურე. „ვაი ჩემს თავს, შეილი ხომ არ დამეტები!“

— ნუ სწუხარ, არა მოხდებოდა რა! უთხრა მეწისქვილემ, უთუოდ იძანებდა და ბატები გადუგდებდენ კურტკას წყალში.

პეტრეს მამა მაინც საშინლად დანალელიანდა, საჩქაროდ ჩაჯდა თავის ტაქაში და გასწია შინ. იმის ბებერ ცხენს სულ ქვიშინი გაპქონდა და გზაზედ საშინელი მტვერი ადგა.

სანთლების ანთების დრო იყო, როდესაც სინოლე შევიდა ხოფელში. სახლში ყველა დარღიანად დაუხედა, რომ პეტრე აქამდის შინ არ შემოსულიყო. მოჯამავირე დედაკაცი ორჯელ სამჯელ გასულიყო გზების დასათვალიერებლად, ყმაწვილი ხომ არ მოდისო და ისევ უნუგეშოთ დაბრუენბულიყო.

უნდა წასულიყვენ პეტრეს საძებნელათ. მამაშ აანთო სანათური, წინ გაუძლეა და მოელი ოჯახი დაიძრა. ხოლო ბებია დარჩა სახლის შესანახავათ.

პეტრე უცქერდა მზე როგორ ჩაეიდა მთის გადაღმა და უფრო დანალელიანდა; სიბნელე მოეფინა არე-მარეს, სიბნელესთან ერთად მდინარიდან ცივმა სიომ დაპბერა. პეტრეს შესცივდა პერანგის ამარას, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, შეეძლო სირბილით შინ წასულა, მაგრამ ბატებს რას უზამდა, ისინი ბნელაში არ წამოჰყევებოდენ, ყველა ლამაზად მიწოლილიყო, ერთმა მოიმძინარა კიდეც თავი.

— წამოეგდე, შე საძაგელო, გასწი, რას უგდისარ, დაუყვირა პეტრემ ბატს, მაგრამ ბატი არ იძროდა, თითქოს ლოდი იდოსო.

ეერც ჯოხის ცემით გახდა რამეს ყმაწვილი და ეერც წიხლებით. ბატები მხოლოდ სისინებდა. პეტრეს უნდა ხელში აეყვანა, მაგრამ რომელ ერთს აიყვანდა, ყველა ჯიბრზედ უდგა, არ იძეროდენ. და როცა მოჰყევებოდა ცემის ფრთხებს აფართქალებდენ და გაქონდათ საშინელი სისინი.

ბატების ხმაურობაზედ პეტრეს სახლობაშ მოაგნო.

— აქ ყოფილა, აქ ყოფილა, აქეთ მოდით! გაიძახოდა სიმოლე, — საბრალო შეილო. მე მეგონა დამხრივალხარ.

პეტრემ მოისაწყლა თავი, რაკი ნახა რომ ყველა გახარებულია
იშისი პოენით, დარწმუნდა რომ აპატიებენ.



ბატები ძალზედ იდგენ, არ უნდოდათ ნებით შინ დაბრუნება, ყველას
თითო ან არი უნდა აეყვანა ხელში: მთელი სახლობა შინისკენ ასე

გამოვმგზავრენ. პეტრე შერტვენილი და შეშინებული მოსდეველა ამათ, რა უბედური იქნებოდა ეს, რომ ლამე დარჩენილიყო მდინარის პირას.

დაწვა პეტრე დასაძინებლათ, მაგრამ მთელი ლამე შეშით კბილი-კბილს აცემინებდა. სიზმარიც უუდი ნახა. ესიზრმა ეითომ ამას მუდამ თავისი დაგლეჯილი კურტკა უნდა ეცვას, რომელიც გზაზედვე ჩაცვეს, შინ რომ მოჰყავდათ.

მეწისქვილემ გააშრობინა „კურტკა“ და თავისი ბიჭის ხელით სიმოლეს გამოუგზავნა. რანაირად გაიხარა პეტრემ, როდესაც დაინახა ისევ თავისი ახალი კურტკა, მაგრამ ამ კურტკას აღარც თავისი ფერი შერჩენოდა, არც აღრინდელივით ტანზედ გამოწყობილი ჰქონდა.

ან. თ-წ—სა



ვ ე რ ხ ვ ი



რთს დაბურულსა ხშირს ტყეში
ლამაზი ვერხვი ჰხარობდა
და უმაღური ხეედრისა,
დღე მუდამ ასე ამბობდა:

„რა არის ჩემი სიცოცხლე;
ვერ ამომითქვამს სულიო,
ვეება ხეებისგან ვარ
შეკრული, შექუთულიო?“

„მე უნდა ვიყო მარტოკა
ტრიალს მინდორზე მდგარიო,
რომ თავისუფლად ჩემს ფოთლებს
აფრიალებდეს ქარიო!....“

შესრულდა მისი წადილი:
ერთხელ მოვიდენ გლეხები
და სულ მოსჩეხეს, რაც იყო
იმ ტყეში დიდი ხეები.

იამა ვერხვსა, რა პნახა,
სურვილი აღსრულებია,
მავრამ ეს სიამოვნება
დიდხანს არ გაგრძელებია!...“

ვ ე რ ხ ვ ი

დაპერა ქარმა ძლიერად,
ასტყდა საზარი გრიგალი,
შეინძრა ცა და ქვეყანა,
მიწამ დაიწყო ზრიალი....

ველარა გასძლო.... დასუსტდა
ვერხვი, შოენილი ობლადა,
და ამოსთხარა გრიგალმა
ძირიან - ფესვიანადა....

მაშინ კი იგრძნო საბრალომ,
რომ კვლავ ხეებში მდგარიყო,
ასე არ მოუვიდოდა,
მაგრამა გვიანდა იყო!

დუტუ მეგრელი.



ბ ა ც ა რ ა ხ ა ნ უ მ ა



(სოფლის ცხოვრებიდან)

ოველთვის ჩვენი სკოლის კარებზედა
ჭუვანდა სოლმე თავისი ბატის ჭუჭუ-
ლები. თუმცა აյ ბალასი არაფერი არ
იყო და თონის თავივით გატუშული
ადგილი ეგდო სოლმე, მაგრამ მაინც არ გვეშვებოდა. არ
ვიცი ჩვენი მეზობლობა რად უკვარდა.

ჰატარა ქალები რომ სკოლიდან გამოვიდოდენ სწავლის
შემდეგ დასასვენებლად, ის მაშინვე გაირეგავდა თავის ჭუ-
ჭულებს და საჩქაროდ მიაფარებდა სადიე, უთუოდ ან თა-
ვისათვის ემინოდა და ან თავის ჭუჭულებისათვის, არ
დაძისოცონო.

როცა ვინმე დაუწეუბდა ლაპარაკს, კოპებს შეცვრავდა
და სმას არ გასცემდა, სანმ საქმეს არ გაუჭირებდენ, ამა-
ტომ დაარქვეს სანუმა.

ეშაკ გოგო-ბიჭებს სადღაც გაეგონათ ავი თხი სა-
ნუმას სახელი და ამ კოპებიან ქალსაც ეს სახელი შეუძვ-
ნიეს, თორებ როგორც ნამდვილად გავიგე ლიზა ერქვა.
(თვითონ ჩუმად გოგოებისთვინ ეთქვა, რომა, ქალო, ლი-

ზეკოს მექანიან და კი არა სთქვათო, თორემ ეგ ჩასაქო-
ლები აღარ მოძასვენებენო, გაიშვირა სკოლის შაგირდები-
საგენ ხელი.)

როცა ბატარა ხანუმა ბატების ჭუჭულებს წაასხავდა,
გოგოები დაუწეუბდენ მასილს:

— ხანუმ! ხანუმ! სად მირბისარ, მოდი ვიკენტიათო.

მაგრამ ხანუმა წევგლის მეტს არაფერს მიართოდა:

— თვალიძც გამოვმვრებათ, სადა მცალიან საკენტოდ,
წიგნსა წწავლობთ, წიგნი ისწავლეთ, მე რადას ჩამოქა-
დებისარო!

თუ ვინმე ხელს წაავლებდა ჭუჭულას, ხანუმას წევ-
ლას ვინდა აუგიდოდა.

— ამოგიღოს ბოლოკივით მიძინების მადლა, შე ეოვ-
ლად წმიდასთან ჩასამარხაო შენა, რა დაგიშავა ჩემმა ჭუჭუ-
ლამა, რო იჭერ, არ მომიკლა, თორემ...

— თორემ უურებზე ხახვი არ დამაჭრა! მიაძახებდა ონა-
გარი ბიჭი.

ხანუმა ისეთის თვალით შემოხედავდა თავის ჭუჭულის
დამჭერს, რომ იტეოდი ესლავე კრაზანსავით მიახტება სა-
კბენლადაო.



როცა გავევთილი დადგებოდა ხანუმა მაშინვე ფანჯა-
რაში ამოფოფხდებოდა და უურს უგდებდა, ბიჭები რასაც
სწავლობდენ. თუ მასწავლებელი მიიხედავდა ფანჯრისკენ,
ის მაშინვე მიიმალებოდა. მასწავლებლისა მალიანა რცხვე-
ნოდა; სადაც უნდა ენახა, მაშინვე გაიქცეოდა და დაიმალე-
ბოდა სადმე.

რომ ჭკითხავდენ: ხანუმ! სკოლაში არ მიებარები? არ გინდა შენც მოგცენ წიგნები და დაფები, როგორც ჩვენს ვასოსა?

— რათ მინდა, ჭუჭულებს ვიღა მოუყენოვთ! უჩასუ-
სებდა მაგრამ თან ჩუმჩუმად რადასაც დიღინებდა ხოლმე.
ერთხელ გულიდამ თუ გადუვიდა შიგ ფანჯარაში წამოგვა-
ძლერა თავზედ:

ნეტავი რაღმე მაქცია,
ბულბულად გადამაქცია
ბულბულის ენა მასწავლა,
ამ ბალებს შემომაჩეთა!...

თურმე ის კუდიანი, როცა შეგირდები სწავლობდენ,
უურს უკდებდა და სწავლობდა ზეპირად, რასაც გაიგონებ-
და. ბეჭრი სხვა ლუქსები და არაკები იცოდა ხანუმაძ.
შინ რომ ჩამოვიდოდა, დედას უამბობდა ხოლმე.



ერთხელ, როგორც იქ გააბედინეს მასწავლებლისა-
თვის ხმის გაცემა.

— რამდენი ჭუჭული გეავს, ლიზა? ჭკითხა მასწავლე-
ბელმა.

ხანუმაძ ძლივს გააგონა:

— თერთმეტი მეავს.

— რა ვიცი, რამდენია თერთმეტი, აბა მიჩვენე, უთხ-
რა მასწავლებელმა.

— ქა, მაშ არ იცი რამდენია თერთმეტი. მე თერთმეტი
ჭუჭულა მეავს და ვერ გაიგე რამდენი უოფილა თერთმეტი?

— არა ვიცი, კი არ დამითვლია და! უთხრა მასწავლებელმა.

— აი ამდენია,—და დაიწეო თითებზედ თვლა:—ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი,—თან თითო თითსა ხრიდა და ზედ თითს ადებდა. დათვალა ათი. ორივე ხელუბზედ ათივე თითი ჩამუჭა მუშტში. კიდევ დათვალა და ეს ათიო, უჩვენა მასწავლებელს. ცოტა ხანს ჩაფიქრდა, გაძალა თითები... — ათანამ, ათანამ— მოხარა ნეკი და ესეც თერთმეტიო. აი, ამდენი მეაგსო, აუხსნა მასწავლებელსა.

— ერთი ჭუჭულა რომ უვავმა მოგტაცოს, რაღამდენი დაგრჩება, ლიზა? ეკითხება მასწავლებელი.

— ქა, რათ უნდა მომტაცოს, განა იმიტომ კუდიეკარ, რომ უვავებს მოვატაცვინო.

— არა, ისე ვთქვათ, ვითომ ერთი მოგტაცა უვავმა...

— არა, არა! დედა მცემს, რათ უნდა მოიტაცოს! იქი ნებდა ხანუმა.

— არა, ლიზა! განა მართლა მოიტაცებს, ჩვენ ვვიქო რობთ, რომ მოგტაცოს ერთი, რაღამდენი დაგრჩება?

— ქა, რად უნდა მოიტაცოს იმ ბუდე ჩამოსანგრევმა, რისთვინაო. ვენაცვალე ჩემ ფეხ-უვითელ ბამბისჭულა ჭუჭულებსა! მე რადა მავი ქვა უნდა გავაკეთო, რო ეგენი უვავს მოვატაცვინო!

არ იქნა და არა, ვერ დავითანხმეთ ხანუმა, რომ უვავს ჭუჭულა მოეტაცნა



მალიან უევარდა ხანუმას თავისი ჭუჭულები. მოაფარებდა ხოლმე ღობეს, მოისხვდა ირგვლივ, აიუვანდა ხა-თითოოდ ხელში და გიჟივით ჭკოცნიდა.

— გენაცვალეთ მაგ თქოსავით ნისკარტებში და ფეხებში, ჩემთ ღეროვლებო, ჩემთ ლამაზებო, შვენიერებო, ტურფებო, ნამცეცებო, ლუკმებო. გენაცვალოსთ ჩატრონი მაგ მმიღივით თვალებში!

— ვაიძე, ახლა რომ ერთი ჰირდაღებული უვავი წარმოვიდეს, დაავლოს ნისკარტი ჩემს ბამბის ქულასა და წააწიალოს ბუდები! მაშინ რაღა ვქნა, როგორდა გიშეულოთ ჩემთ სისარულებო!? მოავლებდა ხოლმე ხელს ჭუჭულებს და მიისუტავდა გულში. ხან ვალობას ვადაფარებდა და ისე ჟეავდა დამალული, ვითომ უვავს უმაღავსო!



გავიდა მაისი, გავიდა თიბათვეც; ჸატარა ჭუჭულები დიღორონი ბატები გახდენ. ჸაწაწა გერმის მაგიერად მსხვილი ფრთები გამოუვიდათ. თან-და-თან ბალასიც გახმა.

მკათათვის გასულს დაანებეს თავი თავის ჸატრონს ხანუმას და გასწიეს წეაროსკენ. მთელი ღლები წეალში ისხდენ და ჭუჭმალაობდენ. ხანუმა იჯდა ხოლმე წეაროს ჰირსა და უმახდა თავის ჭუკიებსა. ისინი ეურს ადარ უგრებენ ხანუმას, გაფაციცებით ემებენ წეალში საჭმელსა. ხან ჩაერჭობოდენ თავით წეალში და წითელი ფეხებიდა ამოუკოთ, ხან სულ ჩაიმალებოდენ, მხრებს სცემდენ წეალსა და ცვრებს ზურგზედ იდენდენ.

არ დაიხროთ, ჩემთ კარგებო! მისმახოდა ხანუმა. ისინიც უიინით გასცემდენ ჸასუსს და განაგრმობდენ ნადირობასა. რატომ არა სველდებიანო ეს ჩემი ბატებიო, იფიქრებდა ხანუმა და თან თვითონაც ჩაჭერფდა შიშველს

ფეხს ციგს წეაროში, მაგრამ მაშინვე ამოიტაცებდა, რაკი ციგად მოჭხვდებოდა წეაროს წეალი.

ამის შემდეგ ბატები სულ თავის ნებაზედ დადიოდნ. რაღა ეგავი და მერა წაიღებდა.

იჯდა ხანუმაც დაღონებული სახლში მარტოდ-მარტო.

— დედა! როდის გაიხსნება სკოლა, როდის მოვა მასწავლებელი? ჩვენი ვასო როდის წავა სკოლაში? ჰყითხავდა წამ-და-უწუმ დედასა. როცა გაიგონებდა, რომ სამი კვირა კიდევ არისო, ან ორი, მაშინვე თითებზედ დაიწევებდა თვლასა.

რა მიზეზი იქო, რომ სწავლის დაწევების დრო ეპითხებოდა? მარიამობისთვის გავიდა, წაიგიდა არდადეგები.

გაილეწა კალოებიც, ეანების ხენება სომ რაღა იქნებოდა. მინდორზედ სიმინდიდა იდგა სელუსლებული და ვენახმი ეურმენი.

ენკენისთვის პირველში გაისმა სკოლის ზარის წერიალიც და ერთს წამს შემოუარა სოველს. ზოგს ბანიდან ჩასმასა, ზოგს კარებიდან, უველგან სმა მიაწვდინა. მოსწავლე გოგობისჭებმა მოქმედებს თავის აბები. ზოგი წიგნს ექიმი, ზოგი დაფას, ზოგი ღრიფილს. პატარა ხანუმას კი საძებნელი არაფერი ჰქონდა. ის მოუთმენლად მოელოდა მინდვრიდან ვასოს მოსვლას, რომ სკოლაში გაჰქიმოდა.

მეორე დღეს მასწავლებელთან იდგა მორცხვი ჩეგნი ნაცნობი ხანუმა და სიხარულით შესცემოდა კედლებზედ გაგრულს ათას ნაირ ხატებსა და სურათებსა, თითქო პირველადა ჸსედავსო. დაფამ და წიგნმა სომ სულ გადარიეს. სკოლის წიგნში ეწერა:

«ლიზა ბეჯითაშვილი მიებარა ორს ენკენისთვეს 1892 წელს.



გ უ გ უ ლ ი

მ რთხელ გუგულმა შეჭრიბა,
გარს შემოისხა ტოროლა,
ჭივჭივი, გვრიტი, ჩეიკვი და
სხვა ჩიტი თითოვოროლა.



და უთხრა: «უური დამიგდეთ,
ისეთი რამე გრძელოთ,
ორმ, თქვენს მზეს ვფიცხვ, გაჭკვირდეთ
და მეტის ~ მეტად გრძოთ:

ეს არის, ახლა დავბრუნდი,
ერთ ალაგს ვიყავ მე ტექმი,
იქ გნახე რაც არ მენახა,
და არც მსმენია ჩემს დღეში;

«მე ვავიგონე ბულბულის
იქ საჭკირველი მდერაო,
და, უნდა ვითხოდოთ, სიამით
გულმა დამიწუო მგერაო!

«ჩვენებურ კილოს კი არ ჰებავს,
 ის ძღვრის სულ სხვა ჭანგზედო,
 ხმაც სხვა ნაირი ჸქონია,
 თითქოს უკრავენ ჩანგზედო.

«მეც, კარგათ მოგეხსენებათ,
 გალობაში გარ ნაქები,
 და უოგელ ღონით ვცდილობდი,
 მისთვის მეჯობნა ჭანგზები!

«გავაბით აქეთ და იქიო
 ჩვენ ტბილ კილოზედ გალობა;
 მსმენელის უკი დავატებეთ,
 მოგეცათ დფონია წეალობა!

მაგრამ, გავტედები, მჯობნიდა,
 ცოტათი მაინც ბულბული.
 ერთს ოომ დამსტვენდა, ვრჩებოდი
 სახტად მე პირდაღებული!

ის ოომ სან ჸეჭნესის, ჭახჭახებს,
 ტბილად მოჟეუბა ტკრციალსა,
 უქველია, სიამით
 გული დაგიწევებსთ ფრიალსა!

«ან უცბად ხმას ოომ დაუშვებს,
 და მიმუქცევს საამურს,—

რას შეადარებ იმ ხმასთან:
 ჭიანურს, ჩანგს, თუ სალამურს!?

«მიკვირდა, დიდად მიკვირდა
 მისი ხმა კილოიანი
 და ბოლოს მეც შევისწავლე
 გალობა ის შნოიანი!

«ვნებავთ, მისმინეთ, ბულბულის
 მე გაგაცონოთ მღერაო?
 კი არ გატუებთ, სიამით
 მოგვიგაროთ გულის გმერაო!

— კარგი იქნება, შენმა მზემ!
 არ მოგვატუებ, გვჯერაო!
 — «მაშ ჩუმათ! ნუდარ ხმაურობთ!
 მაღლა ავიდე ჯერაო!»

სთქაა, მაღალ ტოტზედ შეჭყრინდა,
 თავი მგალობლად დასახა
 და თავისებურ კილოზედ
 «გუ—გუ! გუ—გუ!»-ო დასძხა!...

თეოფ. კანდელაკი.



ისტორიული ამბები

თავდადებული მღვდელი

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანი.
რუსთაველი.



ამასის წლის ამბავს მოგითხოვთ.

1609 წელი მიღიოდა. ცხელი ზაფხული იდგა. მთელი ჩე-ნი საქართველო ცხარე მუშაობას მისცემოდა. შიში არსაიდან იყო, არც სპარსეთს და არც ოსმალეთს იმ ეამად საქართველოსთან საღაო არა ჰქონდათ-რა. ამიტომ ქართველები მტრის შემოსევას არ-საიდგან არ მოელოდენ და გულ-დამ შეიძებულნი თავის შინაურს საქმეებს ადგენ.

უცებ ჯავახეთის და თრიალეთის მხრივ ქართველობაში საშინელი ჩოქჩოლი შეიძნა. მცხოვრებლებმა თავი ანებეს ყანებსა, მა-მულსა, ყველა სამუშაოსა და იწყეს ფაცა-ფუცით ურნების შებმა, ცხენების შეკმაჩა, თავისი ქონების გამოზიდვა სახლებიდან და ეშუ-რებოდენ დაბურულის ტყისაკენ დასამალავად.

რა იყო მიზეზი ამ დაწინკებისა? სრულებით მოულოდნელი შემოსევა საქართველოში თათრის ჯარისა სამხრეთის მხრივ.

ამ ღროს ჩენებს ქვეყანაში მეფობდა ახალ-გაზდა მეფე ლუარ-საბი. იმ ეამად ის იყო საზაფხულოდ გასული სოფელს ცხირეთში, რომელიც იდო სოფლის ახალქალაქის თავსა. მთის ფერდობი, მშევ-ნიერი გრილი ჰაერი, ცივი კამკამა წყაროები, აყრილი ტყეები, კა-რგა სანადიროები ჰქლიდენ ამ მაღლობ ადგილს საუცხოვო სამყო-ფელად ზაფხულში. ყმაშვილი მეფე განცხრობით სტკბებოდა და ფი-ქადაც არ მოუგიღოდა, თუ ხიფათი ისე ახლო იყო მისული. ლუ-არსაბ თან ახლდენ ზოგნი დიდებულნი და მათ შორის გორგი სააკაძე, პირველი ვაჟკაცი მაშინდელის დროისა, სახელოვანი წინა-მძღოლი ჯარისა, შემდევ წოდებული დიდ-მოურავად.

თათრის ჯარმა იცოდა საზაფხულო ბინა მეფისა და საოცარი სისწრაფით მიეშურებოდა მისკენ. მტერნი მოწალინებულნი იყვნენ უცებ დასხმოდენ მეფეს თავსა და შეეპყრათ იგი ტყვედ. მასუკან ადვილად დაეჭირათ სოფლები და ქალაქები და ბატონობა ეწყოთ საქართველოში.

თათრებმა გადმოლახეს თრიალეთი, უწიეს მანგლისსა და რავ-დენიმე საათის შემდევ უნდა თავს დასხმოდენ მეფესა, რომელმაც სრულებით არაფერი იცოდა მტრისა და არც ჯარი ჰყავდა თავის-თანა. თათრებს შეეძლოთ ადვილად სწოდენ გულის წადილსა, რა-დგანათ ცხვირეთსა და მანგლისს შეა მხოლოდ ერთი მთა იდო და სულ ოთხი ხუთის საათის სავლელი იქმნებოდა.

მანგლისიდან ახალქალაქისაკენ რაედენიმე გზა მიღიოდა; მაგ-რამ ძლიერ ცუდი, ვიწრო, აღმართ-დაღმართი, ოღონ-ჩოლჩო. თა-თრებმა არ იცოდენ, რომელი უფრო მოკლე და ვარგისი გზა იყო და ყოყმანობაში ჩავარდენ. ამ დროს მანგლისის გვერდით ერთს პატარა სოფელში, რომელსაც სახელად კველთა ერქვა, მათ შეიძყრეს ერთი ქართველი მღვდელი, სახელად თევდორე, რომელსაც სხვებ-თან ერთად ტყეში გაქცევა ეერ მოესწრო, უთუოდ იმიტომ; რომ ეკულესის განძეულობა საღმე მიემალნა და მტრის ხელიდგან გადა-ერჩინა.

თევდორე მცვდელს შეუტიეს თათრებმა და უბრძანეს: შენ უნდა წინ წაგვიძლვე, სულ მოკლე გზით გვატარო და, რაც შეიძ-ლება, ჩქარა მცვეიყვანო მეფის ბინასთანაო. თუ ამას შეგვისრულებ, დღის საჩუქარს მიიღებ; ხოლო თუ უარზედ დადგები, გტანჯავთ, გაწვალებთ, საშინელს სიკედილს მიგცამთ და შენს სხეულს ყვავსა და ყორანს შევაჭმეოთ.

მღვდელი ჩავარდა სწორედ ჯოჯოხეთის ცეცხლში. თუ თათ-რებს ნებას დაჰყვებოდა, მეფეს დაატყვევებდენ, საქართველოს ააოხ-რებდენ, სისხლით და ცრემლით აახებდენ. ქვეყნის უბედურობას გააორკეცებდა ის გარემოება, რომ მეფე ჯერედ სულ ყმაწვილი იყო, მეუღლე არა ჰყავდა და მემკვიდრე არ დარჩებოდა. ამის გა-მო ურჯულონი უფრო მაგრა მოიკიდებდენ ფეხს საქართველოში და სიცოცხლეს ჩაშხამებდენ ჩვენს ერსა. თუ თევდორე უარს ეტ-ყოდა, სამშობლოს ვერ გამოიმეტებდა, მას მოელოდა გამო. უთქმელი ტანჯვა, წამებით სიკედილი, ყეავ-ყორანისაგან შეჭმა და

დაობლება ცოლ-შეილისა. მესამე გზა ყოვლად შეუძლებელი იყო. ან თავი უნდა შეეწირნა ქვეყნისათვის, ან სამშობლო ენაცვალებინ-თავის-თავისათვის.

პირველს წამებში მღვდელი ყოყმანობამ შეიპყრო და ვერ გა-დაეჭრა, რომელს გზას დასდგომოდა. ამ ყოყმანობის ღროს გას სა-ცოდავი, შესაბრალისი სახე ჰქონდა. მაგრა უცებ იგი წელში გას-წირდა, სახე გაუნათლდა, ვაჟკაცურის გამომეტყველებით აიგსო. აშკარად ეტყობოდა, რომ მამაცურის გარდაწყვეტილობას დადგა.

თათრებს უთხრა თევდორები: კარგი, მომყენო და სულ მოკ-ლე გზით გატარებთ მეფეებისათ. თათრებს დიდი სიხარული შეუდ-გათ და ფიქრობდენ, ორიოდე საათის შემდეგ საქართველოს მეფე ხელში გვეყოლება ტყვეთაო. მიღის წინ მღვდელი, მისღვევნ მას უკან თათრები. ესენი ხედავენ, რომ სულ დასავლეთისაკენ მიჰყავს მღვდელსა, ცხირეთი კი მანგლისიდან ჩრდილოეთით სძეეს. ეჭვი ეპარებათ, მაგრამ თან ჭიქრობენ: აი საცაა გზა ჩრდილოეთისაკენ გაუხევესო. ხოლო თევდორე მღვდელი სულ იქით და იქით მიღის და რაც შეუძლიან სწრაფად. იარეს ასე კარგა ხანს. ბოლოს თათ-რები მიხედვნ, რომ თევდორე მღვდელმა ისინი მოატყუა, გზას ააც-დინა და ცხირეთს დააშორა. მაშინ ისინი საშინელი სიბრაზით აი-უხენ, გაშმაგებულნი მისცეიდენ საწყალს თევდორესა და დაუწყეს უწყალო ცემა-ტყეპა, აწეალეს, სტანჯეს, ბოლოს მოჰკლეს და გა-დააგდეს ერთს დიდს ხრამში. მღვდელი ამ საშინელს ტანჯეას ად-გილად იტანდა, რაღვანაც მას ამხნევებდა ის აზრი, რომ თავის წეა-ლებით დაიხსნიდა ქვეყანას უბედურობისაგან... სახელოვანს მოწა-მეს იქედი არ გაუცრუვდა, თავდადებამ მისმა ჯეროვანი ნაყოფი გა-მოიღო.

თევდორე მღვდელმა ისე დააშორა თათრები ცხირეთსა, რომ მათ იმ დღეს ეელარ გაიგნეს გზა და ვერ მოასწრეს მთაზედ გადას-სვლა. ამისთ ისარგებლეს ზოგიერთ გამზედაცმა ქართველებმა, მოკლე ბილიკებით მოჰკურცხლეს ცხირეთისაკენ და აცნობეს მეფეს ყველა-ფერი. გიორგი სააკაძე, როგორც წინამდლოლი ჯარისა, იმავ წამს თავდარიგს შეუდგა. აფრინა ცხენოსანი სოფლებსა და ქალაქებში და დაუძახა ჯარსა. მეორე დიღა ჯერედ კარგად არ გათენებული-ყო, რომ ახლო-მახლო სოფლებიდან მეფის გარშემო დაიბადა გა-მოწყობილი ჯარი. მაშინდელს დროში ყოველს ასაკოვანს ქართველს

თოფ-იარაღი ჰქონდა, ომის საქმე კარგად იცოდა და დაძახების შემდევ ფიცხლავ გამოცხადდებოდა ხოლმე დანიშნულს ადგილასა.

მეორე დილას თათრის ჯარი მაღლა მოებიდან ახალქალაქისაკენ მუქარით და მტკისხანებით დაეშეა. მაგრამ ახლა იგი ისე საშიში ალარ იყო. ქართველების ჯარი მხნედ დაუხვდა, თუმცა ჯერ ძლიერ მცირე იყო რიცხვით, მაშინ, როდესაც მტერთა რიცხვი ორმოცს ათასს აღემატებოდა. გაჩნდა ბრძოლა. თავდაპირეველად ქართველებს ომი მეტად უჭირდათ იმის გამო, რომ ერთს ქართველ ზედ ოცნებით მოდიოდენ თათრები, მაგრამ ჩენების წინ უძლოდათ საოცარი მეომარი სააკადე და ამასთან თან-და-თან ღონეუ მიიცეს, რადგანაც აქეთ-იქით სოფლებიდან გუნდ-გუნდათ მოდიოდენ შეიარაღებულნი ქართველნი.

თათრებმა პირი დასავლეთისკენ ჰქმნეს, უნდოდათ სწრაფად მისდგომოდენ გორასა, გასულიყვენ ხიდზედ, რომელიც იდო მტეარზედ ხიდისთავსა და გორს შუა, აელოთ გორი, აეკლოთ, და დაეჭირათ ამ ქალაქის ციხე, ჩაეყენებინათ შიგ თავისი ჯარი და შემდევ შეს-დგომოდენ შთელის საქართველოს დაპყრობასა. გიორგი სააკადე ძლიერ ცდილობდა—როგორმე დაეწინაურებინა ერთი გუნდი ქართველი ჯარი, რომ ამათ წინ ეყელათ თათრებისთვის და გორის ხიდი ჩაემალათ; მაგრამ მტერი აბა ამის ნებას რად მისცემდა? გარნა აქაც თათრებს ხელი შეუშალა მეორე სასულიერო პირმა.

თათრების ჯარის შემოსევაზედ გორში სრულიად არაფერი იცოდენ, ისე მოულოდნელი იყო ყველასთვის ეს შემოსევა. ამიტომ გორიდან არხენიად მოდიოდა ცხენით სომხის მღვდელი სააკაშვილი სოფელს დოესში, საღაც ქართველებთან სომხებიც სტკოვ-რებდენ და მიწერილნი იყვენ გორის მრევლზედ. როცა სააკაშვილი ავიდა ზედაველის მაღლობს მინდორზედ, საშინელი სანახაენ გადაეშალა თვალშინ: მთელი ცეცხლოთელა ვაკე მთებსა და მტკვარს შუა მჭიდროთ იყო დაჭერილი თათრის ჯარითა. ელდანაცემმა მღვდელმა ფიცხლავ ცხენი უკან გამოაბრუნა, ჰკრა დეზი და გააჭენა უკან გორისაკენ. მიიჭრა ხიდთან, გაეიდა იქით, გადმოხტა ცხენიდან და დაიძახა: „არიქა, მიშვეველეთ ხიდი ჩაეშალოთ, ავერ მტრის ჯარი მოდისო. და თანაც ხელი მიჰყო ხიდის ჩაფუშვასა. ბედად, იქვე შეესწრენ ხიდისთაველი გლეხები. ესნიც მისცეიდენ ხიდსა და დაუწყეს საჩქაროდ ჩაშლა. როცა პატარა ხანს უკან თათრები გორს

მიუხელოვდენ, ხიდი გაუქმებული დახვდათ. ძლიერ ცუდს მდგომარეობაში ჩაციედენ. უხიდოდ გორჩი გასელა შეუძლებელი იყო, რადგანაც მტკვარი აღიდებული მოდიოდა; იქითა ნაპირს იდგა ახლად მოსული ქართული გორჩელი ჯარი და ნებას არ მისცემდა თაორებს ახალი ხიდი გაეკეთებინათ და ისე გასულიყვენ. უკან ტფილისისაკვენაც ვერ დაბრუნდებოდენ, რადგანაც ზურგი უკან მათ უდგათ გიორგი საკაძე თავისი ჯარითა და საქმეს უჭირებდა. რა უნდა ექმნათ? მეტი ლონე არ იყო, საქართველოს დაპყრობაზედ ხელი უნდა აეღოთ და თავი როგორმე დაეხტიათ. გადასწყვიტეს, ევლოთ დასაცლეთისაკვენ, ზემო ქართლის სოფლები დაერჩიათ, დაელა ბევრი ეშოვნათ და შემდევ ბორჯომის ხეობით, რომელზედაც მიდიოდა და მიდის ახალციხის გზა, სათათოებში დაბრუნდულიყვენ. მაგრამ ისინი საკაძეს და ქართველებს არ იცნობდენ ჯერ კარგადა.

წინ მიდიოდა თაორის ჯარი, უკანიდან მისდევდა ფეხ-და-ფეხ ქართველი ჯარი და ქლეტლა, რაც კი შეეძლო. თაორები ქარელს ახლო მტკვარში გავიდენ, მოექცენ იქითა მარცხენა ნაპირსა და გაებენ სოფლების ცარცუაში. საკაძესაც ეს უნდოდა. მან დევნას თავი დაანება, თავისი ჯარი სწრაფად, დაუსვენებლივ ატარა მტკვრის მარჯვენა ნაპირსა და როცა ასცდა ტაშის კარსა, საიდანაც იწყება ბორჯომის ხეობა, ერთბაშად გაეიდა მთელი თავისი ჯარით მტკვარში, უყელა წინ თაორებსა და გადაელობა გზაზედ. აი თაორის ჯარი, დაელით დატეირთული, ბორჯომის ხეობაში შეეიდა; მაგრამ ეს იმ შესელასა. სწორედ ამ დროს ზემოქართლის ერისთავები თავისი ჯარებით მტერს უკანიდან მიადგენ. თაორები ისე მოემწყვდენ, როგორც ჩიტი გალიაში. წინ-უკანიდან ქართველი ჯარი უდგათ, დასაცლეთით იყვენ აყუდებულნი მაღალი, გაუკალნი მთები, აღმოსავლეთით მოქუხდა აღიდებული მტკვარი. დაიწყო ბრძოლა. თაორები სასოწარკვეთილებით იბრძოდენ, დიდი სიმამაცე გამოიჩინეს, მაგრამ ერა გახდენ რა. ბრძოლა გაგრძელდა მთელს საში დღესა. საკაძე იბრძოდა, როგორც ლომი, და დიდი ოსტატობით აძლევდა სარისტას ჯარსა. თაორები ერთი ექვსად მეტნი იყვენ ქართველებზედ; მაგრამ მაინც საშინლად დამარცხდენ. იმოდენა ჯარი თითქმის მთლად ამოიქლიტა. მცირე ნაწილი ტყევედ ჩაუკარდათ ხელში ქართველებსა, ზოგნი ტყევებში შეიმალენ. მავრამ ესენიც ისე იყვენ შეშინებულნი და თავზარდაცემულნი, რომ ბრძოლის გათავე-

ბის შემდეგ მეორე—მესამე დღეს ბავშვები და ქალები იქტრდენ ტყეებში და გამოჰყავდათ. იმოდენა ჯარიდან გადარჩა მხოლოდ თორმეტი კაცი და თავს უშველა, რათა სამშობლოში მიეტანა საზარელი ამბავი.

ასეთი უდიდესი სიკეთე შესძლენა სამშობლოს თევდორე მღვდელმა თავისი ღვაწლით, თავდადებით. ამ სახელოვანს მამულისშეაღს რომ თავი ვერ გამოემეტნა, მეფეც დატყვევებული შეიქმნებოდა, ქვეყანაც აოხრებული; ბევრი დედა, ბევრი მეუღლე, ბევრი და ატირდებოდა საქართველოში, ეს მღვდელი თავის ცოლშეილით საუკუნიდ წყეულ და შეჩენებული შეიქმნებოდა ყველასგან და ისეთ სირცხვილში ჩავარდებოდა, რომ სიკეთე ბევრად სჯობია იმისთანა სიცოცხლესა.

ახლა? ახლა კი მეფე გამარჯვებული შეიქნა, ქვეყანა გამოხსნილი, მტერი შემუსერილი, მთელს საქართველოში სიხარული დატრიალდა, დაობლებულს ცოლშეილს თავდადებულისას მეფე და ქვეყანა პატრიონად და მფარველად აღმოუჩნდენ და თითონ მღვდელმა მოიპოვა იმისთანა სახელი, რომელიც ქებით, დიდებით და კურთხევით იხსენება ყველა ქართველისაგან, ვიღრე დედამიწის ზურგზედ ჩვენი ერი იცოხლებს.

დიალ, თევდორე მღვდელმა თავის თავზედ აიცხადა დიდებული რუსთაველის ლექსი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკეთე სახელოვანი.“

იაკობ სვიმონიძე



მერა და მელი

ხალხური ლექსი

(ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ)



აილოცე გაზაფხულო,
 ყველამ ამოიდგა ენა
 ჰაშვი ღობეზედ შემოჯდა,
 და დასძახა ნელა-ნელა,
 ზევიდან წამოვა ძერა,
 კრუხს სალამი მოახსენა:
 „გამარჯობა კრუხო შენა!“
 — შენი სალამი არ მინდა,
 ნეტა გამეცალო შენა!
 — ნაპირას რო წიწილა ზის,
 უნდა მომცე ხელდახელა!
 — ჩემი პატრონი გაიგებს,
 თოვფი ფეხზედ დააყენა.
 — მე იმის თოვფი ვერ მომკლავს
 თუ არა მაქს ბედის წერა.
 ძერამ წიწილა წაილო,
 ქვევიდამ გამორბის მელა,
 მე და ძერას შემოგეხედეთ,
 წიწილა წაეიღეთ ჩენა.
 ძერა კლდეზედ შემოჯდება,
 ქვევიდან შესცერის მელა.
 ეს მონადირემ გაიგო,
 მწევრები ზედ წააყენა;
 გასწიეს და გამოსწიეს,
 ზურგზედ ბური დააყენა!



ყვავილების ნადიმობა

(ზღაპარი)



აზაფხული დგებოდა. მზე მხიარულად და სასიამოენოდ ანათებდა. სუფთა ჰაერი ყვავილების კეთილსუნნელებით ავსებული იყო. საზოგადოთ ზამთრის დიდი ხნის ძილისაგან გამოღვიძებულს ბუნებას ისეთი განცხრომა და სიმხიარულე ეტყობოდა, რომ უნებლიერ ავიწყდებოდა საჭიროება, ჭმუნვა და მწუხარება ყველას, ვინც კი ამით შევიწროებული იყო. ყველა: ამწვანებული ტყე, ბალახი და ყვავილებიც თითქოს ერთმანეთს შესხურჩულებდენ: „ვიმ, რა მშენიერია ყველაფერი ბუნებაში“. ყვავილები ნელა არხევდენ თავებს, როდესაც მათ გაუქროლებდა თბილი ნიავი და უჩურჩულებდენ ერთმანეთს: „შეხედეთ, როგორ ყოვლად ბრძნულად გაუჩენია ყველაფერი შემოქმედს“.

იმ საღამოს, რომელზედაც მე მსურს გიამბოთ, ყვავილები ჰმარ-თავდენ ნადიმობას. თქვენ, პატარა მკითხველებო, იქნება ჰეთიქრობთ, რომ ყვავილებს სული არ აქვს, რომ მათ არ შეუძლიან გამოცალონ ის მთაბეჭდილებანი, რომელთაც ვგრძნობთ და ვცდით ჩვენ ადამიანები. არა! ყვავილებიც აგრეთვე გრძნობენ; როგორც ჩვენ და უკეთაც, რადგანაც ისინი უფრო ნაზი და სათუთნი არიან. როდესაც ყვავილს მოვსწყვეტით ის ისეთს ტყივილს იგრძნობს, როგორ-საც ჩვენ ვგრძნობთ, როდესაც მოვიჭრით ან მოვიტეხთ რასმეს.

დაუბრუნდეთ ამბაეს.

დიალ, ყვავილები ჰმართავდენ ნადიმობას. ყვავილების მეფე, გარდი, დღესასწაულობდა თავის სასახლეში გაზაფხულის დაღვომას, ასევე სამხიარულოს ყველასათვის. ამისათვის ვარდმა მიიწვია თავის სასახლეში სტუმრები. და აი, როდესაც მოვიდა დანიშნული

ღრო, სტუმრებმა თავი მოიყარეს ვარდთან. სასახლის თაღს შეადგინდა ნორჩი მწერანე ფოთლები ასკილისა, იატაკი იყო მორთული მდიდრულად რბილი, როგორც ხავერდი, გაზაფხულის ზალახით. ობილი ნიავი არხევდა ფოთლებს და მით გაპქონდა ჰაერში სასიამოვნო მომხიბლავი ხმები, რომელიც ადამიანის ყურისათვის მიუკარებელი იყო.

ვარდი, ბრწყინვალე თავის სილამაზით დაუხვდა სტუმრებს ალერ-სიანის ღიმილით, აი მოფიდა ჩაცმული მტრედის ფრად სუმბული, შემდეგ მას მოჰყვა მიხაკი, უროშანა, იასამანი, ია, შემდევ სხვა თეთრი, წითელი, ყვითელი და ლურჯი ყვავილები. შევროვდა დადი საზოგადოება, არ იყო მხოლოდ ზამბახი. მას მოუთმენლად ელოდა ყველანი. ბოლოს ისიც გამოცხადდა.

ვარდმა უსაყვედურა დაგვიანებისათვის ზამბახს, შემდევ მოისვა გვერდით და სხვა ყვავილებს მიძართა შემდევი სიტყვებით. ის ამბობდა როგორ სასიამოვნოა აყვავებული გაზაფხული, რამდენს სიმხიარულეს გამოცდის თვითეული, როდესაც გაზაფხული თავისი მომხიბლავი ნიშნებით მწერეთ შემოსავს ტყეს, ჭალებს და მინდვრებს, ათავისუფლებს მდინარეებს ყინვისაგან, როდესაც ფრინველების გალობა გაისმის ჰაერში, რომელიც ყვავილებს კეთილ სუნნელებით შეზავებულია.

დასასრულ ვარდმა სთქმა:

— ია, ჩვენ ყველანი შევიკრიბეთ აქ, რომ მხსარულად შევწყეთ იმ ღროს, რომელსაც გაზაფხული ჰქიან. ამისათვის, მე ვუიქობ ზამბახი არ გაგვაწიბილებს და დაუკრავს ერთს თავის საგალობელს. ჩვენ ყველამ ვიცით მისი მუზიკალური ნიჭი და დიდის კმაყოფილებითაც მოვუსმენთ.

ზამბახმა განაცხადა თანახმობა აღასრულოს ვარდის სურვილი და დაიწყო ერთი თავის საგალობელთაგანი, სახელდობრი: „ბუნების ღლესასწაული“.

საკეირეელს მომხიბლავს ხმებს იძლეოდენ სიმები, ხან ნელა, ნაზალ, შორს მისუსტდებოდა და ეალერსებოდა თავის კეთილ-ხმოვანებით ყურს, ხან ახალის ძალით ცხოველდებოდა და ჰამატავდა ყვე-

ლა ქარიშხალურ მღელობარებას სულისას. ზამბახმა სრულიად დაი-
 კიწყა მის გარემორტყმული ბუნება, ის სცხოერობდა იმ ხებით,
 ომელნიც გამოდიოდენ მისი სიმებისაგან. მსმენელნი, ზამბახის მის-
 ნურ საკრავთა სმენით ოცნებით გატაცებულიყვენ შორს, ძალიან
 შორს. იმათ წინ წამოუდგათ ერთი მეორეზედ ულამაზესი სურა-
 თება, ოცნებამ გაიტაცა ისინი უცნობელ თავისუფალ და მოში-
 ბლავ ხმების ქვეყანაში. მაგრამ აი ზამბახმა გაათავა და სხევებმა
 კიდევ დიდხანს შეინახეს სიჩუმე.

ასე მშევნივრად უკრავდა ზამბახი.

ამას შემდევ მოჰყვა ცეკვა და როგორი მშევნიერი თაგული შე-
 სდგა, როდესაც ყვავილები ჩადგნენ ერთს წრეში. აი გაისმა მუზიკანტთა
 ხოროს ხმა... უცბად მოძებნეს ტოლები. ვარდს თავის სიკეკლუპით
 და სილამაზით აღტაცებაში მოჰყვავდა ყველანი... მაგრამ ეს რა? სა-
 სახლის ერთს დაშორებულს კუთხეში მიმალულიყო მშვიდი ყვითე-
 ლი ყვავილი. ის იჯდა იქ ყველასაგან დავიწყებული. იმას არ იტყუებ-
 და თან ხმიანი, მხიარული ცეკვა, თამაში. ის თითქმის არც აშჩევდა
 ამაებს, ისე იყო გატაცებული თავის ჩუმ ფიქრებში. ყველაზედ უწინ
 ის დაინახა ზამბახმა.

— შენ რატომ არ იღებ მონაწილეობას, მეგობარო, საზოგადო
 მხიარულებაში? ჰყითხა ზამბახმა.

— ჰე, ზამბახო მიუგო ყვითელმა ყვაეილმა, ნეტავი მე მომცა
 ერთი მეათედი ნაწილი შენი ნიჭისა!

აი რაზედ ფიქრობდა თავისთვის კუთხეში მინდვრის ყვაეილი!...
 აი რა აღელვებდა მის წმინდა სულ!

— ხა! ხა! ხა! როგორი სასაცილო ყოფილხარ შენ, მიუგო
 ზამბახმა თვით-კმაყოფილის ლიმილით. არ შეიძლება ინატრო რაც
 შეუძლებელია.

ამ დროს გათავდა ცეკვაც და მობასებთან მიერთა გარდი და
 ჰყითხა:

— რაზედ საიდუმლობო?



ଯେବୁଲୁଗୋଦିଲୁବନ୍ଦିମାତ୍ର.

— აი, სულელს, მიუგო ზამბახმა, უნდა გახდეს არტისტი. არ შეუძლია, რომ მე შემედაროს. მე სასახლის არტისტი ვარ და ეს კი... უბრალო მინდვრის ყეავილია.

— რასაკეირეელია არ შეუძლია, მოწონებით წარმოსთქვა ვარდმა.

— მაგრამ, ნება მიბოძეთ, სთქვა ბოლოს ყვითელმა ყვავილმა, გყითხოთ, ვინ დასდო განსხვავება ჩვენ შორის?

— აი სულელი თუ გინდა ეს ყოფილა — სთქვა ვარდმა — რასა-კეირეელია შთამომავლობამ და ბუნებით ნიჭირებამ.

საწყალმა ყვითელმა ყვავილმა ხმა არ ამოცლო, მხოლოდ ჩაფიქრდა და თავის გულ ში სთქვა: — „აბა, ეძიე სიმართლე ქვეყანაზედ, როდესაც ჩვენ ყვავილებთ შორისაც ისეთი ამპარტავნობა, დიდ გულობა და ზვაობაა, როგორც ადამიანთა შორის“. იფიქრა ასე და წაეიდა სახლში. რა უნდა ექნა მას ამ ჩინებულ საზოგადოებაში? ვარდს გაეცინა იმის გასელაზედ.

— აი, ბატონებო, ეუბნებოდა ვარდი სტუმრებს, თქვენ წინ მაგალითი. განა შეგვიძლიან დღეის შემდევ ჩვენს საზოგადოებაში მიეკოლოთ გაუნათლებელი მინდვრის ყვავილები? ამ დროს ზამბახი ლრმან ჩაუფიქრდა ყვითელი ყვავილის სიტყვებს.

„მართლა, ფიქრობდა ის, რა განსხვავებაა ჩემ და იმას შუა? ეჭ, რა ცუდათ მოვიქეცი, რომ დავცინე იმ კეთილს ყვავილს!“ და, სიტყვაც არ უთქვამს, ისე გამოვიდა სასახლიდან. იმას შერცეა თავის და ყველა იმ მინდვრის ყვავილების მავიერად, რომელთაც ასე დაცინოდა ვარდი.

ამ ფიქრებით, ზამბახი მიერიდა ყვითელი ყვავილების სახლში.

— მომიტევეთ, სთქვა მან, წუთის მედიდურობამ დამიხშო მსჯელობა. მე დანაშაული ვარ შენთან.

— რას ამბობ, რას ამბობ, ზამბახო! სთქვა მორიდებით ყვითელმა ყვავილმა. — შენ უნდა მოხვედე მოტევებას!

— არა, მე დანაშაული ვარ და ბოდიშს ეიხდი, მაპატიე და დაემეგობრდეთ.

ყეითელ ყვავილს ცრემლები მოადგა, მან მაგრად გადაკოცნა ზამბახი და დათანახმდა მეგობრობაზედ.

— აი, ამბობდა ზამბახი, რა გლახაა, როდესაც შენს მეგობარს ელაპარაკები, ამპარტაენობით და თაემოყვარეობით, მე არ ვიცოდი რა მექნა, სანამ არ შემირიგდებოდი.

მის შემდევ ზამბახი თითქმის განუყრელი იყო თავის მეგობარ მინდერის ყვავილთან. ბრწყინვალე საზოვადოებას იშვიათად ინახულებდა.

ეარდი კი დიდხანს ემდუროდა ზამბახსა, რომ მისი სასახლის ჩინებული ყვავილი დაუმეევობრჩა]. ვიღაც მინდვრის დატაკ ყვავილსა.

ლ. ორპირელი.



ს ა მ ი ს უ რ ა თ ი

ს ა მ ი ს უ რ ა თ ი



არედ სულ არაფერი სჩანს,
ყველებან ნისლების ბოლია;
შორს მოებსაც შეგი ჩადრიერით
ღრუბლები ჩამოსწოლია.

ოღნავ გამოსჩანს ნათელი
ერთგანლა სოფლის ბოლოსა...
ცოლი და შვილი ავად ჰყავს
ჭალარა შერთულ სოლოსა.

რომელი ერთი იტიროს,
ცოლი თუ სიყმის შვილია?
როგორც ბავშისთვის დედის რძე,
ორივე მისთვის ტკბილია.

დალონებულა, ანგარიშს
თავს ვეღარ აძლევი, სწორედა;
გარედაც სარჩო - საბადი
გაუხდა საძალლ-ღორედა.

ყანა ხომ მზისგან ჩაეწვა
სიმინდი ქვიშა-შლამითა;
ვენახი გაუტიალა
ოხერმა დათემა ღამითა.

ეის დაემდუროს საბრალო,
ეის შეუთვალოს ყვედრება?
თითქოს უფალმაც უარ ჰყო
მისი ოხოენა და ვედრება;

აგერ მის ცოლი ლოგიზე
რა საცოდავად ხრიალებს,
ბალლაც ვერ მოუსვენია
და შამფურიერით ტრიალებს.

თვალებში მომდგარ ცრემლებით
 ეთხოვებიან ყველასა....
 მაგრამ არ ჰყარგვენ ჯერ იმედს
 და უფალს სთხოვენ შველასა.

ამ ღროს უეცრად კარები
 გაიღო, შემოჭრიალდა;
 ნაზად და ტურფად ჩატმული
 იქ ვიღაც შემოფრიალდა.

ბავშვს ეუცხოვა სტუმარი
 და გული გადუტრიალდა,
 დედას კი ტყბილის იმედით
 გული კვლავ გაუფხიანდა.

ენ იყო, აბა გაიგეთ,
 იქნება მიხედეთ ძელადა?
 ცის ანგელოზი მოვიდა
 აქ იმათ დასახსნელადა.

მშობელმა უცბად ხელები,
 გაშალა სასოებითა
 და შეევედრა ანგელოზს
 ხერწით და მუდარებითა.

ცის ანგელოზო, შენ გახდი
 ჩემ სიყმიშვილის ფარია;
 არ მომიშრიტოს სიკვდილმა
 სიცოცხლით დაუმტკბარია.

ჯერ ქორფა არის გულითა
 უზადო, უანგაროა;
 მაგის გრძნობა და გონება
 მთის მოკამკამე წყაროა.

მე დაერჩე იგი მომიკედეს
 გადავიძლევი არაკად,
 ისა სჯობს ისევ მე მოკედე
 ღმერთო მიმილე ზეარაკად.

სამი ჩურათი

ბაეში იქიდან ატირდა
 „დედავ, ისევ შეწ იცოცხლე,
 მე უშენოდა ვერ გაეძლებ
 ალარც მე მინდა სიცოცხლე.

შენის სიკელილით ოჯახში
 წერილ-შეილებს დაყრი იბლადა;
 აბა, რას გამოვადგები
 მე იმათ დედა-მშობლადა.

ბედი დასჩაგრავთ უდროეოდ
 იბლობით დაიზრდებიან,
 ბეჭრჯელ დაჰგმობენ სიცოცხლეს.
 და ხშირად ატირდებიან.

ღმერთო მიიღე გულ წრფელად
 ჩემი ხვეწნა და მუდარა,
 დედა დამიხსენ სიკელისა
 მაგან ჩამაცვას სუდარა.

ანგელოზს ბაეშის სიტყვებზედ
 ლიმილი მოსდის ტკბილადა,
 პირჯვარი გადაასახა
 დედა-შეილა ორჯელ წყვილადა.

და უთხრა თქვენი სიცოცხლე
 ლეთისგან მე შემხვდა წილადა;
 ნუ გეშინიათ, გამხნევდით
 სიკედილს გაგიხდით წმიდადა.

ორნიე განკურნებულ ხართ
 ალდექით, გაიხარეთა,
 ქვეწისთვის კარგი იფიქრეთ
 და ხალხი შეიყეარეთა.

შ. მღვიმელი.



წიგნის ამბავი

ქოთს შეენიერს გაზაფხულზედ, როდესაც უოველმა ღვთისა-
 გან გაჩენილმა, როგორც სულიერის, ავრეთვე უოველ-
 მა მცენარემაც იგრმნო გამაცოცხლებელი სითბო და
 ტკბილის ნიავის სისინი, უველამ დაიწეო ცივის ზამ-
 თრისგან გაეინულის ასოების შმუშნა და ღრმა ძილისა-
 გან გამოფიზლება და გადვიძება, ჩემმა დედამაც, ხსეა
 მცენარეების დაგვარად მოსწოვა თავისი, ფესვებით დედა-
 მიწაში ჩასული წვიმის ნამები და მიაწოდა საზრდო-სას-
 მელად თავის ტოტებს, ტოტებმაც მალე გამოიდეს ზატარა
 კუპურები და ცოტა სანს შემდეგ ეს კუპურები გადიმალენ
 ფოთლებად და, აი, ერთი ამ ფოთლოთაგანი ვიუავ მუც.
 მაისის ტკბილმა მზის სხივებმა და ქუჯუნა წვიმამ მალე
 თავიანთი ძალა გამოიჩინა, — ძათ მოწეალებით კურწიც გა-
 ვიძაგრე და გავიზარდე კიდეცა. რომ იცოდეთ, რა ამშარ-
 ტავნებით დავცეკეროდი დედა ჩემის ჩრდილ ქვემ ამოსულ
 ბალან-უვავილებს.. და არც გასაკვირველი იუო ჩემი ამ-
 შარტავნება: მე ვიუავი შვილი ტკბილის თუთის სისა, ისე
 ტკბილსა, რომ მთელ ჩემ ტანმიაც ვგრმნობდი სიტკბოს.
 ჩემი სამშობლო იუო შეენიერი ბაღი, ათას ნაირი ხეხი-
 ლებით, ბუჩქებით და ვარდებით შემკბილი; მარტო ის
 ეეოფოდა სასიამოვნოდ გულს, გარდის ბუჩქებში რომ
 ათას ნაირად დაიწეუბდენ ბულბულები თავის შეენიერს გა-
 ლობას. ვცხოვრებდი ტკბილად ჩემის და-მებით და დარ-

წმუნებულიც ვიუავ, რომ ეს სიამოვნებით სიცოცხლე არას დროს არ მოძალდებოდა. ერთად ერთი სახატოელი მქონდა მარტო. ჩემის ჩრდილს ქვეშ სმირად მოდიოდა შატარა ემა-წვილი წამოწვებოდა და დაიწევდა წიგნის კითხვას. იმ წიგნისაკენ მქონდა თვალი. რამდენი შვენიერი ნახატები იყო შიგა, ასე გასინჯეთ ხეებიც კი იყო შიგ გამოსატუ-ლი და, რომ ვხედავდი იმ ნახატებს ვნატრობდი: «ნეტა მე ვიუო ის წიგნი და ის ნახატები ჩემს გვერდოზედ იუს გამოსატული; მამინ უფრო ლამზი და თვალსაჩინო ვიქ-ნები-მეთქი, მაგრამ, როდესაც მომავნებოდა, რომ იმ წიგნში ბევრი ფურცლები იყო და მე მარტო ერთი ფურ-ცელი ვიუავი, ისე გაფჩუმდებოდი, რომ, ღმერთს გეფიცებით, ქარისაც კი არ მემინოდა: ბევრჯელ დაგვქროლა, მაგრამ სან აქეთგან გავქანდებოდი და სან იქითგან და ვაუანინებდი გულს ქარისა. ჩემს ახლო მეოფს ატამს და სხვა ხილებს ხომ სულ დააურევინა ევავილები, დავცინოდი და ვარცხვენდი იმათ, ორმა ქარმა ისე გაჭიროდენ დედა-მიწას. «ბარემ მიწაში ჩაძეერით, სირცხვილით როგორდა უნდა იცოცხლოთ-მე-თქი», ვეუძნებოდი იმათა. დედა ჩემი კი მალიან მიმღიდა, სხვებს ნუ დასცინი, თორემ ეგ დაცინვა მუირად დაგიჯდება, ერთხელ შენც დაგცინებენო, მაგრამ მე ჩემსას მანც არ ვიძლიდი და ქარის ქოლის დროს გამქონდა შრიალუ-სიცილი. არ დავიჯერე დედა ჩემის დარიგება და ჭკუის სწავლება და მალე ისეთი უბედურება დამემართა, რომ ახ-ლაც რომ მაგრანდება, ქოუანტელი მივლის ტანში. აი, რო-გორ მოხდა ეს ამბავი:

ერთს შვენიერს თიბბათვის ღღეს მოვიდა ბატის ჰატურონი, დიდი შალი მოიტანა, გამალა მირს, ჩვენ ჩრდილ
 ქვეშ და დაგვიწეო კრეფა. ბევრი ვემალე, ვარიდე თავი, მაგრამ ჩემამდინაც ამოვიდა, მომწევიტა, ეველანი ერთად
 გაგვახვია იმ შალში, წამოგვიყიდა ზურგზედ და წაგვიღო. ჯერ ტკიფილისაგან მიკვდებოდა გული, მერე დედი ჩემის
 მოშორებით და შალში გახვეულებს სომ სული გვიგუბ-
 დებოდა; მაგრამ ეველაზე უფრო სირცხვილი მტანჯავდა. როდესაც წითელმა ალუბალმა დამიძახა: «აბა, ემაწვილო
 რომ დამცინოდი, ჭედავ რა მოგივიდა? მე მაშინ ტანისა-
 მოსი გამარტევინა ქარმა, მაგრამ ახლა, აი, რა ჯანზედა
 ვარ და წითლადა ვდვივი! შენ კი მთლად მოგწევიტეს და
 მიგათრევენ, ისიც სადა, იცი? მე საცოდავო, ჭიების საჭ-
 მელად, ჭიების საჭმელად, აა! ხა! ხა! სა!» გადისარსარა
 თანაც იმ საძაგელმა. ეველა კარგი, მაგრამ ეს უკანასკ-
 ნელი სიტყვები რომ გავიგონე ახლა კი მომწედა წელი:
 ვარ თუ მართლა ჭიების გასაგლეჭათ უნდა გავხდე?! ნეტა
 შემეძლოს მაინც როგორმე გაარჩვა, მაგრამ როგორ? ისე
 მაგრა იუო შეკრული მალი, რომ გერაფერმა სერხმა ვეღარ
 მიშველა. ბოლოს მიგვიტანეს ერთ ათახში, წვრილი წნე-
 ლით დაწწული სახლები ეწეო აქა-იქა და იმათზე მოგვ-
 ფანტეს. ახლა კი მიშველა დმერთმა და გავიჩარები-მეთქი,
 მაგრამ თქვენს მტერს რაც მე იქ დავინახე! ნეტა ისევ
 ალუბლის სიტყვები ამხდენოდა და ჭიებს შევეჭამე. ერთი
 რაღაც საძინელი და საზიზდარი მატლები იუვენ მთელს
 სახალზედ მოუენილები, თავებს აიღებდენ და ხან აქეთ გა-
 იხედავდენ და ხან იქით და მერე ისევ მირს დაუშვებდენ,
 თურმე საჭმელს ეძებდენ და რომ ვერ იპოვნიდენ ისევ ჩა-

ქინდრავდენ თავებს ძირსა. ერთმა იმათვანშა დამინახა. ღმერთო! რამდენი ფეხები ჭიონდა! ჩამებდაუჭერა და დამიაწეო გვერდებიდან ჭამა. მჭამდა, მაგრამ ისე კი არა რომ დავიღებული, არა! სულ წერილ მაფებათ მაქცია და ისე გადამელაპა. რამდენიც დღე გადიოდა, იმდენ ახალასალ მაფებს ჩემი მომმებისას ჭილაპავდა და რაკი გვამში ვეღარ გმიტეოდით, გაიძერა და გამსხვილდა. ერთს დღეს შევატეს რომ სადღაც მაღლა მივუავდი ვთქვი: ეს რაზა უსედურება მომელის არ მეურ რაც გაჭირება გამოვიარე-მეთქი?! ბოლოს, მკონი ვეღარ მოგვინელა და დაიწეო მაფების მუწლიდან ამოდება. დავინახე, რომ სახალზე ჩვენ მაგივრად ახლა მუხის ტოტები დაელაგებინათ და აი ამ ტოტებზე დაიწეო ჩვენი გაბმა ისე, რომ თავის გარშემო გვახვევდა; ბოლოს ისე გაგვაერთა, რომ შვენიერი ჰარკი გამოიყენა და ოვითონაც შიგ მოემწევდია. როდესაც დანარჩენებმაც ასეთივე ჰარკები გააკეთეს, ჩვენ უველანი სათითაოდ მოგვაშორებს მუხის ტოტებს და ჩაგვარეს ადუღებულს წეალში გაგვიუშდეს ამოგვირიეს რაღაც გოგზით და დაგვიწეუს ამოხვევა. იმდენი გვახვიეს და გვატიალეს, რომ სულ თავ ბრუ დამეხვა.

რაკი ამ წეალსაც გადავრჩი, მეგონა ეს არის მოვრჩი უკელა წვალებასა და ახლა კი მოვისვენებ-მეთქი, მაგრამ ამარტვანს და სხვეს დამცინავს კიდევ ბევრი წვალება თურმე მომელოდა. წაგვიღეს იქიდან ერთ დღი სახლში თურმე ქარხანა ეოფილიერ, სადაც სხვადასხვა მაფებისა-გან სხვადასხვა ფარჩეულობასა ჭისოვდენ. საშინელი გრიალი გაჭქონდათ საქსოვ მაშინებსა და, აი, მეც ერთ ამთვანში ჩავარდი. ხან აქეთ გაგვიწევდა, ხან იქით გვხლართავდა ერთ-

მანეთში ისე. რომ თავის დახსნა იქიდან საფიქრებელი ადარ იყო. ჩვენგნით მოქსოვეს შეენიერი ვეებერთელა აბრეშუმის ნაჭერი დაგვიპეტეს და წაკვიდეს ახლა სხვა სახლში, სადაც ბევრი ჩვენისთანა ეწეო თურმე გასასუიდათ. გავიდა რამ ღენიმე ხანი, ვიუავ ასე ერთს ალაგას და გაჭირვება აღა რა მოძღვომია-რა. ერთს თახჩაში ჩემთან უბრალო ჩითიც იყო დაკუცილი. დამავიწედა ჩემი ბეჭლი ტანჯეები და რად განაც მე აბრეშუმისა ვიუავ კიდევ დავიწევ ამჟარტავნობა, ჩითთან ერთად არ მეტადრება უოფნა, ურრალო ძაფისაგან არის-მეთქი მოქსოვილი, არ ვიცი ჩემი ხმა გაიგონა ჩემმა ჰატრონმა, თუ რა მიზეზი იყო, მაგრამ რომ დაგვინახა მე და ჩითი ერთად, საშინლად გაუჯავრდა თავის ბიჭება. ჩითი მაშინათვე გადმოაღებინა და სწორედ ჩემ თახჩას ქვეშ შეანახვინა. ახლა კი დაგუწევ ჩითს დაიცინვა ისე, რომ სი-რცხვილით ადარ იცოდა რა ექნა, მაგრამ როგორც წილიათ, არც ახლა დამიჯდა იაფად ჩემი ამჟარტავნება. მოვიდა ერთი ქალი, რაღაც ლაპარაკი და ვაჭრობა დაუწეო ჩემს ჰატრონს. გამზომები და წამიდო თავის სახლში, მიტანის უბალ მაგრატლით თითქმის სულ ლუკმა-ლუკმა დამჭრეს. მერე დამიწევს ნემსებით ჩსვლეტა და ძაფებით ჩემი ნაჭრების ერთმანეთზედ მიკერება. იმდენი მჩსვლიტეს, რომ სისხლი მქონოდა კიდევ ტანში იქაურობას შევღებავდი. ერთი სიტყვით შემკერეს ჰატარა ემაწვილის ჩასაცმელ ხალათდ, მაგრამ ის ემაწვილი საშინელი ცელქი გამოდგა; ხან მიწაზედ გორაობდა და მტვერში მსვრიდა, ხან ხეზე აციცვდებოდა და ტოტებზედ რჩებოდა ჩემი ნაფლეთები, ისე რომ ბოლოს და ბოლოს სრულებით დამკლიჯა, გახადეს და ნაგავს გამაყოლეს. სამაგილი სუნი იყო გარშემო, დავ-

ფიქრდი და მომივიდა მწარე ტირილი, მომავონდა ჩემი
 მძღველი. ვტიროდი და თან ვეხვეწებოდი ღმერთს, რომ
 ამ ალაგს როგორმე მოვშორებოდი. ამ ტირილსა და ვე
 დრების დროს ერთი ვიღაც დაბრანძული კაცი მოვიდა და
 დაუწეო ნაგავს ქვეს. რაც რამ ნაჭრებს იპოვნიდა, ტომა-
 რაში აწეობდა. მეც, რასაკვირველია, იმ ტომარაში მოვუევი,
 წამოგვიყიდა ზურგზედ და წაგვიღო სადღაც. უცებ გრია-
 ლი შემოგვესმა, ვთქვი, ეს სწორედ ის ქარხანა უნდა იყოს,
 მე რომ ვიუავი-მეთქი. მართლაც ქარხანაში მიგვიტანა, და
 გვცალა; მხოლოდ ეს სულ სხვა ნაირი ქარხანა იყო, აქაც
 ბევრი ვაიგავლახი გამოვიარე, ბევრი გადამადუდუდუდმომა-
 ღუღეს, ბევრი უბედურება მომაუენეს და ბოლოს თეორ ქა-
 ლალდათ მაქციეს, აქედანაც ერთ მესტამბესთან გამგზავნეს.
 მესტამბემ რაღაც მაშინაში ჩამდო გადაატრიალა ჩარხი და
 საშინლად მომიშირა ფერდებში რაღამაც: «ვაიმე დედავ!»
 დავიძახე და კიდევ გამომიღეს მეორე მხარესა, მაგრამ რა
 გნახე ჩემ ტანზედ?! ისეთს რას იტეოდით, რომ ჟედ არ ეწე-
 რა? რა ჭიკიანი გავმხდარვიუავ! ეთველისფერი ვიცოდი,
 რაც კი აქამდის არ გამეგონა და არც მენახა. ერთი სიტყვით
 გადავიქმედი წიგნათ; ჩემი ამბავიც კი შიგ ეწერა დაწვრი-
 ლებით და ჩემი სანატრელი ნახატებითაც ამიჭრელდა ფუ-
 რცლები.

ლუარსაბ ციცოშვილი.



მ ო ს წ ა ვ ლ ე

(ვ. ნ. პ. ჩხეიძეს)

შ სწავლე, ქალოვ, ნორჩისა ხნისა.
ისწავლე, გრძნობას მიეცი ძალი.
რომ შენც ბრწყინვალე დასისა გუნდში
იხსენებოდე, ამას გთხოვს ვალი.

გაშავრძე სწავლა, მიეცი გული
ყველა ნიერ-შორის უმჯობესია.
რომ ამ ქვეყნისთვის შენ სასარგებლოს
დასთესავ, მომკი, რაც უტკბესია.

ამიერიდგან ვიღრე იცოცხლებ
შენ მოიხვეჭავ მდიდარს სახელსა;
დღეს დაბნელებულს და უსინათლოს,
რომ გაუნათებ წმინდა სანთელსა.

არ დაგაეიწყდეს პირეელ მშობელი,
რომელმაც ტკბილი ძუძუთი გზარდა,
და თავის ვალი, როგორც რომ დედა
შენისა აღზრდით ვადაგიხადა.

გასწავლა ყველა რაც ქვეყნისათვის,
რაც ცხოვრებისთვის უფრო ტკბილია,
გასწავლა ისიც, რომ დღეს დაცემულს
შენსა მამულსა რაცა სჭირია

ისწავლე მტკიცედ, ქართველის შეილო
და აღუდენე დაცემულს ძალა,
რომელსაც კიდევ ცოტად-და ღვიძავს
და ჯერ სრულებით კი არ მომკედარა.

დიმიტრი მაჭავარიანი.

გ ა რ ა ღ თ ქ ი

(ზღაპარი, წარმოდგენილი ნ. ყ—ლის მიერ)



ყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მონადირე, რომელიც ყოველ ღლეს დაიარებოდა სა- ნადიროთ და ამითი ცხოვრებდა ერთხელ ამ მონადირემ აიღო თოფი, გამოეიღა სანადიროდ; ბევრი იარა, მავრამ არა შეხვდა-რა.

დაღალულ-დაქანული წამოწეა ხის ძირას მოსახვე- ნებლად, უცებ საითგანლაც გაჩნდა თეთრი, როგორც თოვლი, ირე- მი; მონადირემ დაუმიზნა თოფი, ესროლა და მოჰკლა; გაატყავა თუ არა ირემი, დასჭრა ნაწილ-ნაწილად მცერდი, ააგო შამფურზედ და დაუწყო წეა.

ამ დროს უცებ ირემი გაცოცხლდა. მონადირეს გაუკვირდა ეს და წამოიძახა: დიდება შენდა ღმერთო, ეს რა საკვირველებასა ვხე დაევ. ირემმა ამოიღა ენა და უპასუხა: ეს რა საკვირველებაა, სა- კვრიელება ნახა გარალოებაო, თქვა ესა და გაჯჭრა.

შეწუხდა ძლიერ მონადირე, უნდოდა გაეგო ამაზე მეტი რა საკვირველება ნახა ვიღაც გარალოებაო. რის გამო გაუდგა გზას და დაუწყო ძებნა გარალოება. ბევრი იარა თუ ცოტა, მიადგა ერთს ქოხს, ქოხში ცხოვრებდა ერთი მოხუცებული დედა-კაცი. მონადი- რემ თხოვა: დედი, დედაშეილობასა, ამაღამ შემინახე. — მოდი, შეი- ლო, სტუმარი ღვთისაა, უპასუხა ბებერმა. დილა რომ გათენდა მო- ნადირემ ჰკითხა: თუ იცი, სადა ცხოვრებს გარალოები?

— არა, შვილო, ის არავის უნახაეს და არც იციან, სადა ცხოვ- რებსო, უპასუხა ბებერმა და ერთს მთის ფერდობზედ, შორს უჩევენა ცხვრის ფარა და უსხრა: აი, ის ცხვარი გარალოებისაა, თუ მწყემსე- ბი გიჩენებენ იმის ბინას, თორემ სხეა არავინ.

მონადირე გამოეთხოვა ბებერს. იარა, იარა და მიეიღა შეცხა- რებთან.

— გამარჯვება თქვენი!

— გაგიმარჯოს.

— მონაცირე გარალოები სადა ცხოვრებს?

— ჩვენ დიღი ხანია იმის ცხვარში ემსახურებთ, მაგრამ არც გენახავს და არც ვიცით, სადა ცხოვრებს გარალოები, უპასუხეს მე-ცხვარებმა, უჩვენებს ცის კიდეზედ ბერწი ცხვრის ფარა და უთხრეს: თუ გიჩვენებენ მებერწები, თორებ სხვა არავინ. იარა, იარა მონა-ცირებ და მიეიღა მებერწებთან; ამათაც იგივე უპასუხეს და უჩვენებს მებატკნები; მებატკნებმა — მელორეები და მელორეებმა — მეჯოგე-მეჯოგებ აიყვანა მონაცირე ერთს მაღალს ხეზედ, შორს უჩვენა პა-ტარა, ბუზის ოდენა, თეთრი და უთხრა:

— იი, ის თეთრად რომ მოჩანს გარალოების სახლია. მისცა ჯოგიდან საუკეთესო ცხენი და გაისტუმრა. ბერწი იარა თუ ცოტა, ბოლოს მონაცირე მიუახლოებდა სახლს; ერთ დღის სავალზედ მეტი სიარულისაგან ცხენიც მოუკვდა. მიეიღა სახლთან, ვერავინა ნახა, დაღალული წამოწევა სახლის ჩრდილში და დაეძინა.

გარალოებს ჰყავდა ცხრა ცოლშეილიანი შეილები და ერთი გა-სათხოვარი ქალი, ქალმა გადმოიხედა ფანჯრიდან, დაინახა მონა-ცირე და უთხრა მამას, რომ ვიღაც უცხო კაცსა სძინაესო სახლის ჩრდილში. გარალოებმა არ დაიჯერა. ესევე უთხრეს რეა უმცროს რძლებმაც, მაგრამ არც ამათ გაუვონა; ბოლოს გადმოიხედა უფ-როსმა რაბალმა. ამანაც განიმეორა იმათი სიტყვები. გარალოებს ვულ-მა არ მოუთმინა, გადმოიხედა ფანჯრიდან, მართლაც და ნახა ვიღაც უცხო და შეჰყვირა:

— ჰეი! ეინა ხარ, რომ გაჰქიდე და მოხვედი ჩემს სახლთან? ჯერ იმისთანა კაცი ქეყუნაზედ არ შობილა.

მონაცირემ დაწერილებით უამბო თავის თაეგადასავალი და ჰკი-თხა, რა უნახავს იმას თავისზე მეტი საკირეველება.

— რაც მე ეწახე, იმას შენ თავის დღეში ვერა ნახავო, უპა-სუხა გარალოებმა და უამბო შემდეგი:

„მე მყავდა ცხრა გაჟყაცი შეილი. ერთხელ ცხენებით გნადი-რობდით ნადირობის დროს აგვერია გზა, უცებ მივედით ერთს მე-ცხვარე დევთან, რომელსაც უთხოვეთ, რომ ეჩვენებინა გზა. დევმა გვითხრა: აი, ჩემი ქოხი და გვიჩვენა ტრიალს მინდორზედ, მიდით, გააღეთ კარი, მოავროვეთ შეშა, გამრაცხეთ პური; მეც მოეალ, ვი-განშემო ერთად და დილას გზასაც გაჩვენებო. მივედით კლდესთან; გარშემო ხის სსენებაც არ იყო გარდა ერთის მაღალის წიფელასი, რომ შეშა შეგვექუჩა, კარებზედაც ერთი დიდი უზარმაზარი ქვა იყო

მიყუდებული, რის გამო ჩენ ვერც კარი გაფალეთ და ვერც შეშა
 შეეაქტეთ. საღამოს მოვიდა მეცხვარე დევიც; ცალი ხელით. გადა-
 გორა კარზედ მიყუდებული ქვა; ესროლა კომბალი წიფელას, მო-
 სტეხა რამდენიმე ტოტი და გამოაუხო პური. ვახშედ დაპკლა ყო-
 ჩი, ააგო მთლად შამფურზედ და ისე შეწევა. შეძლევ ჩენ დაგვსხა
 კერის ერთს პირას და თვითონ მეორეს; გასჭრა შემწვარი ყოჩი შეუ-
 ზედ; ნახევარი თვითონ აიღო და ნახევარიც ჩენ მოგვცა. სანამ
 ჩენ თვითონ ლუკმს შეესჭამდით დევმა თავისი კერძი შეჭამა, ძელე-
 ბი მესროლა გულში და მომძახა: „ახლა შენი რიგია, გა-
 რალოვ“. ჩენი კერძიც შეჭამა, ისე ძელები მესროლა გულში და
 კიდევ განიმეორა; „ახლა შენი რიგია, გარალოვ!“ მე ვუპასუხე: აბა
 რა დავკალ მე ცხვარი არა მყავს; დევმა ჩაიცინა, მიაშეირა თითო
 ცხენზედ და სოქვა: რა კარგი საკლავია და! სანამ მე ვუპასუხებდი,
 წააქცია ერთი ცხენი, უოცხლად ააგო შამფურზედ, შეწევა და მთლად
 შესჭამა. შემდევ დაპკლა ცხვარი. როგორც პირველად გაცყო შეუ-
 ზედ, ჩენც მოგვცა, შეჭამა თავისი და ჩენი კერძიც, ძელები მე-
 სროლა გულში და მომძახა: „კიდევ შენი რიგია, გარალოვ“. ასე, ამ
 რიგად შეჭამა ჩენი ათი ცხენი და თავისი ათი ყოჩი. მე მევონა
 ამითი გათავდებოდა, მაგრამ დევი არ დასჯერდა, დაპკლა კიდევ თა-
 ვისი ცხვარი, შეჭამა, ძელები მესროლა და კიდევ განიმეორა: „ახლა
 კიდევ შენი რიგია, გარალოვ“. მე ვუპასუხე, აბა ცხენები იყო შეჭა
 მე, სხვა რა გვყავს. დევმა კიდევ ჩაიცინა; თითო მიიშეირა უმცროს
 შეილზედ და სოქვა: აი, რა კარგი საკლავია-და. ისიც ააგო შამ-
 ფურზედ უოცხლად, შეპწევა და შეჭამა. ასე ამ რიგად ბოლოს, შეი-
 ლები რომ შემიჭამა, რიგი მხვდა მეც. ამიყვანა, აიღო შამფური,
 უნდოდა ავეგე, მაგრამ იქვე მიეძინა, რადგანაც კაცის სისხლს დაე-
 თხო დევი. ავდექი, მინდოდა გავქცეულვიყავ, კარს ქვა ვერ მოვა-
 შორე, გამოიღოდებდა და უთუოდ შემჭამდა; გავახურე შამფური და
 დავუწევი თვალები.

დევს ცხვარში ჰყეანდა ერთი ვაცი (დიდი თხა). დავკალ
 ავი, ლეში გადავაგდე, ტყავი ჩაეიცვი და გავერიე ცხვარში.
 დილას დევს რომ გამოელვიძა, გაჯავრებული ჩამოჯდა კარებ-
 ში, რომ მე გარედ აო გაესულვიყავ და დაიშუო ცხერების თითო-
 თითოთი გარედ გამოშეება. პირველად დაუძახა ვაცი: „აბა, ჩემო
 ვაცი, კარგო ვაცი, პატრიონი დაგიბრმავეს, შენ იცი, როგორ მო-
 უვლი ცხვარსაო.“ მეც ვაცის ტყავში, ნელის ნაბიჯით მიუხსლოვდი
 რიგათ კარებს; დევმა გაღმისევა ზურგზედ ხელი და გამომიშვა გარედ; ამ

რიგათ გამოუშვა ცხერებიც. მერე ქვა ისევ გაასწორა კარებზედ, აიღო კომბალი და დამიწყო ძებნა სახლში, მაგრამ მე გარეთ ვიყავი, რას მიპოვიდა. აი, რა ვნახე ჩემთ ძმაო.

შეიტყო თუ არა ეს ამბავი, მონადირემ მოინდომა თავის თვალით ნახეა დევისა. გარალოება ბერი უშალა, დაპირდა კიდეც თავისი ქალი მიეცა, მაგრამ მონადირემ არ დაიშალა; გამოეთხოვა გარალოებს და გაუდგა გზასა. იარა, იარა, ბოლოს მიაგნო დევის კვალს. მოსძებნა თვითონ დევიც და სთხოვა იმ ღამეს ბინა მიეცა თავის სახლში. დევმა ამასაც უჩენა თავისი სახლი, დაავალა შემა შეექუჩებინა და გამოეცხო პურიც. მივიღა მონადირე სახლთან, ცალი ხელით გადისროლა კარებზედ მიყუდებული ქვა, მოპერიჯა ძირიანად წიფელა, დაამტერია. ერთი დიდი კასრი ფქვილი ერთ ხმია-დად (პურად) გამოაცხო და დაწყო ლოდინი დევს. დევიც ჩეარა გამოჩნდა; თვალები დაწვისაგან მორჩინოდა. დაინახა დევმა, რომ წიფელა აღარ იყო, ძალიან ეწყინა. ძლიერ-ძლიობით მოსძებნა ქვა კარების გასამაგრებლად. ცხეარი შერეკა სახლში და რეხშემს. გახ-შმის დროს, სანამ დევი ერთს ლუკმას ჩაიდებდა პირში, მონადირემ დევს ნახევარი ფარა შეუჭამა. ეწყინა ძლიერ დევს, ვეღარ მოითმინა, გამოითხოვა მონადირე საჭიდაოდ. დიდხანს გასტანა ჭიდაობამ, ბოლოს მონადირემ დასცა დევი და უნდოდა მოეკლა. დევმა უთხ-რა: როგორც გატყობ გინდა მომკლა. რომ მომკლა, თავი გამიპე, შიგ ნახავ ერთს ყუთს; გაიტა ის ყუთი ტრიალს მინდორზედ და გაალე, რაც კაცი და ცხენები შეუჭამე იმ ყუთიდან ამოელენო. მო-ნადირემ მოპერია, გაუპო თავი, ამოილო ყუთი, გაიტანა მინდორზედ და გაალო; მართლაც გამოეიდა უთვალავი ხალხი და ცხენები. რო-დესაც ყველანი გამოეიდნ, მონადირემ დაიძახა: გაცალკევდით გა-რალოების შეილებო თავის ცხენებით, და ასეც მოხდა. გაიდენა მო-ნადირემ გარალოების შეილები და მივიდენ გარალოების სახლთან. სახლს რომ მიუახლოედენ ფანჯრიდან გადმოხხდა გარალოების ქალ-მა, დაინახა მონადირე და თავისი ძმები, მიიჩინა და შამას ახარა. გარალოება არც ახლა დაიჯერა. იგივე განიმეორეს რეა უმცროსმა რძლებმაც, არც იმათი სიტყვა გაიგონა. ბოლოს უფროსმა რძალ-მაც რომ იგივე სთქვა, გარალოები, პირეელად თავის თავგადასავალს შემდეგ, გამოეიდა გარედ და მიგება მონადირეს და შეილებს. მას შემდეგ გარალოება მისცა ცოლად თავისი ქალი მონადირეს და ცხოვ-რებდენ ერთად, ქორწილს შემდეგ ქალი გაუტყდა და უთხრა მონა-დირეს (ქმარს), რომ თეთრი ირემი მე ვიყავი; ვიცოდი შენს გარდა ვერავინ დაიხსნიდა ჩემს ძმებს და აი, ამისთვის გეჩვენე შენ. დასა-მტკიცებლად ამისა უჩენა მცერდი, რომელზედაც აკლდა ერთი ძუძუ; რომელიც მონადირეს შამფურზედ რომ აეგო დასწეოდა.

ომიანა მცენარეები

ინ არ იცნობთ ჩვენს მინდერის რძიანა ბალახს (*Euphorbia*),
 მოსწყვეტით თუ არა, მაშინაც ვე რძესაებ თეთრი წვენი გა-
 დმოუვა. თქვენ გოგო-ბიჭებს ვინ იცის რამდენჯერ უხმარიათ
 რძიანას წვენი მეჭეჭების მოსასპობად. მავრამ ვანა მარტო რძიანა
 ბალახს აქვს ამ გვარი წვენი? აბა მოსწყვიტეთ ჩვენი ბოსტნის სა-
 ლათა, როცა იგი ყვავილშია, ახლა გარსეირეთ თქვენი ბოსტნისკენ
 და როცა თქვენმა წითლად აყვავებულმა ხაშხაშმა ახლად თავები
 გაიკეთოს, ეს მწვანე თავები დანის წვერით სუბუქად დაუსერეთ. სალათაც და ხაშხაშის თავებიც თეთრ რძესაებ წვენს მოგცემენ.
 ბევრ მცენარესაც ეს რძიანა წვენი, წითელი, ლურჯი და ყვითელი
 ფერისა აქვთ. აბა ქრისტესისხლა ბალახი (*Chelidonium magus*)
 მოსწყვიტეთ, მაშინათვე მოყვითანო ნარინჯის ფერი წვენი გადმოუვა.

წარმოიდგინეთ, რომ მრავალი და ძლიერ მრავალი მცენარეები
 შეიცავენ თავის სხეულში რძიან წვენს. ამ რძიანა მცენარეებში ზოგი
 ბალათა, ზოგი ბუჩქათ იზრდება და ზოგი კი ძლიერ დიდრონ ხეებად.

ამ რძიანა მცენარეებში ბევრია ძლიერ სასაჩევებლო არიან კა-
 ცისათვის. მაგალითად ცხელ ქვეყნებში იმისთანა რძიანა ხეები იზრ-
 დებან, რომ მათი გემრიელი რძით მთელი ოჯახობა იკვებება და
 ძნელათაც გამოარჩევთ ამ ხეების რძეს ჩვენი ძროხების რძიდან. ამე-
 რიყაში ერთ ნაირი ხე იზრდება, რომელსაც სახელად ეწოდება გია-
 გია, ეს ხე იქამდე მღიდარია რძით, რომ საქმაოა ოდნავ კანი გაუ-
 ჭრათ, მაშინათვე რძეს ნაკადულებად გადმოასხამს, გასაკვირველიც
 არის ამ გია-გიას რძის თეისება: რომ დასდგამთ ისეთსავე ტკბილს
 და ნოყიერს ნაღებს მოიგდებს ხოლმე ზევიდან, როგორც ნამდეილი
 რძე ძროხისა. ერთი სიტყვით ამ ხის რძით ადგილობრივ მცხოვ-
 რები ისე იკვებებიან, როგორც ჩვენი ხალხი ძროხის რძით. ცე-
 ლონის კუნძულზედაც ერთი რძიანა ხე იზრდება, რომლის რძეც
 უფრო გემრიელი და ნოყიერია და ცეილონელები ისე ხშარობენ ამ
 რძეს, როგორც ჩვენ ძროხის რძეს ეხმარობთ. ამიტომაც ყველა ამ
 გვარ ხეებს ადგილობრივ ეწოდებათ ძროხა-ხე.

ამამთანავე ჩვენ რომ რეზინს და რეზინის ნიეთებს ვხმარობთ,
 ესეც რძიანა ხის წვენიდან მზადდება. რეზინის ხე (*Siphonia elasticica*)

უფრო სამხრეთ აშერიკაში იცის, სიმაღლით რვა საჭენზე მეტი იზრდება, ქერქი გარედან მონაცრო დარიჩინის ფერი აქვს და თეთონ ხე ძლიერ შშვენიერი სანახვიც არის. რეზინის ხეების კანს ღრმად დასერავენ ხოლმე და რძესაებ თეთონ და სქელ წვენს ჭურჭლებში ავროვებენ, შემდეგ რასაც ზევიდან მოიტივტივებს ამას ახმობენ და გზავნან ქარხანებში რეზინის ნივთების მოსამზადებლად. ზოგიერთა ამისთანა ხე წელიწადში ერთ ფუთამდე რეზინს იძლევა. რამდენათ სასარგებლო არიან ეს რეზინის ხეები კაცისთვის, მარტო იქიდან სჩანს, რომ წელიწადში ერთი მილიონი ფუთი ნედლი რეზინა იხარჯება სხვა-და-სხვა ნივთების მოსამზადებლად.

მაგრამ იმ დალოცვილ ღმერთს კარგთან ავიც გაუჩენია! ზოგიერთა აძიანა მცენარეს ისეთი შხამიანი წევნი აქვს, რომ ღმერთმა თქვენი მტერიც აშოროს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ კაცის ჭყავ-გონება სულ იმას ცდილობს, რომ შხამიც კი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. აბა სწავლა-მეცნიერება კაცს საღამდე არ მიიყენს! მეცნიერი კაცები როდე შეუშინდენ ამ შხამიან მცენარეებს. ამათ მცენარეების შხამიანი რე გამოიკვლიერ და ორიოდე ისეთი სასარგებლო რე აღმოჩნდა, რომ ბევრ ნაირ ავადმყოფობაში ფეხიან წამლად ხმარობენ. მაგალითად ზემოთ ესთქვით, ხაშხაშის თავები რომ დასწროთ რე გამოუვასრუ, აი სწორედ ამ რძეს ზედ შემხმარს, ჩამოფხექვენ ხოლმე და ამას ეწოდება აფიონი ანუ ბანგი და რაც უნდა ჯანაოზი ექმი იყოს, უამ წამლოდ ფეხსაც ვერ გადასდგამს.—ჩენ რომ ბოსტნებში ხაშხაში თოთო-ოროლა მუჭას ეთესავთ, განა სხვა ჭვეუნებშიაც ასეა. საკმაო მოეიხსენიოთ, რომ მთელი ქვეყნის ბაზრებში წელიწადში 200—300 მილიონ მანეთის აფიონი იყიდება და აქედან ადგილათ შევიძლიათ წარმოიდგინოთ რა დიდ ძალი ხაშხაში უნდა ითხებოდეს ყოველ წლივ, რომ ამდენი აფიონი მოაგროვონ.

ახლა რაც შექება შხამიან აძიანა მცენარეებს, ესენი განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში იზრდებიან დიდრონ ხეებად და ისეთი ლამაზი შეხედულობისაც არიან, რომ ძალაუნებურად კაცის თვალს იზიდავენ.

რასაკვეირველია ბევრჯელ მოსულხართ აღტაცებაში, როცა წაგიკითხავთ გამოჩენილ მოგზაურების აღწერა შესახებ ცხელი ქვეყნების ბუნების სიმშვენიერისა და სიმდიდრისა. აგერ დახედეთ ნახატს, იქაური ბუნება მართლა რომ ნამდვილ სამოთხესა ჰგავს,. ჩენი საკართველოს ბუნება ხომ განთქმულია თავის მრავალ ფეროვნებით,

სიმშევნიერით და სიმდიღით, მაგრამ როცა ინდოეთის და ამერიკის ბუნების სიმშევნიერებს კითხულობ, სადაც მდიღრულად და მრავალ ფეროვნად აჟყვავებულ მცენარეულობას აღტაცებაში მოჰყავს კაცი და სადაც ფრინველები ისეთ მშვენიერ ფერობან და მოელვარე ბუმბულით და ჭრელ ფრთა-კუდით არიან შემოსილ-შექობილნი, რომ კაცი ყურებით ვერ გაძლება. ამას ყველას როცა კითხულობ, ფიქრობ სწორედ რომ ქვეყნიური სამოთხე იქ ყოფილაო, მაგრამ თქვენი მტერი და მაწყევარი ჩავარდეს იმისთანა სამოთხეში. წარმოიდგინეთ აბა რა ცხოვრებაა ამისთანა ცხოვრება: კაცს გულით რომ გინდოდეს მინდერებისკენ გაელა ჭირნახულის და ბალვენახის დათვალიერება, დარწმუნებით ვერ იტყვი ცოცხალი-და დაბრუნდები შინ, თუ საღმე ვეფხის ან ცოფიანი სპილოს მსხვერპლი გახდები. გაივლი საღმე მდინარის ნაპირას და არც იქ დაგეყრება ხეირი, იქ კიდე უარეს ხიფათს მოელოდები: გული გიცახცახებს წყლი-დან კროკოდილმა (გველეშაპმა) თავი არ ამოჰყოს და თან არ ჩამითრიოსო. სიცხე-პაპანახებაში გაფიცხებული ეძებ საღმე ცივ-ცივ წყაროს, რომ გული გაიგრილო და ჩრდილში მოისევნო, მაგრამ რითო იცი, რომ იქვე წყაროსთან ბუქებიდან და ბურა ბალახებიდან მკლავი სისხო, რამდენიმე საექნიანი გველი ბოა არ შემოგეხვევა და ზედ წყაროს პირზე არ მიგახრჩოს. რაც შეეხება ათას წაირ გესლიან გველებს, ამათ არამც თუ მინდორში და თქვენ ბოსტან-ბალებში შეხვდებით, ხშირად ოთახშიაც გეწვევიან და ასე გასინჯეთ როცა გულ-არხეინად გინდათ ლოგინში ჩაწვეთ და დაიძინოთ, უცბათ გრძნობათ რომ რაღაცას ცივს დააწეტით, წამოხტებით, გადაშლით ლოგინს და ვეებერთელა გველი კი დაგიხვდებათ გამოხვეული! ხოლო რაც შეეხება კაცის შემაწუხებელ ათას წაირ მწერებს, ამათ ნუდა იტყვით, რა ჯურა კოლო-ბუზი და მორიელები გინდათ, რომ თქვენ არ გდევნიან. ამისთანა სიცოცხლესაც რა უთხრა! აბა ერთი შიბძანეთ, რად მინდა იმისთანა ქვეყნიური სამოთხე, თუ კი იქ კაცს მოსევნებით არ ეცხოვრება.

მაგრამ რა, განა მარტო მტაცებელ მხეცებისა, გესლიან გველებისა და მორიელ კოლო-ბუზებისა უნდა გეშინოდესთ, წარმოიდგინეთ რომ შხამიანი მცენარეები უურო უარეს დღეს დააყვნებენ კაცს. თიმორის კუნძულზე თითო იმისთანა უზარმაზარი ჭინჭარი იცის, იმან თუ დაგსუსხა სიკვდილს ვერ გადურჩები და რა საშინალად იტანჯება დასუსხული კაცი ტკივილებისაგან მთელი კვირაო-

ბით და ზოგჯერ მთელი წლობითაც, ამის წარმოდგენაც ვერ შეკვიდლიან. ეს კიდევ რაა. თუ იქაური ჭინჭარი ასეთი საშინელებაა, მაშ შხამიანი რძიანა ხეები რაღა უნდა იყვნენ? იავს კუნძულის უდაბურ ტყეებში, სადაც კაცის ფეხი იშვიათად ხედება, ერთნაირი რძიანა ხე იზრდება, რომელიც ისეთ საშინელ შხამიან რძეს შეიცავს თავის სხეულში, რომ ამ ხის შიშით იმ ტყის არე-მარეში შესვლას ბევრი ვერც კი ბედავს.

უწინდელ მოგზაურებს, ეისაც კი გაუბენიათ იმ ტყეში შესვლა, ბევრ ნაირად უამბიათ ამ შხამიანი ხის თვისება. ზოგნი ამბობდენ ერთმა წვეთმა რძემ ცხოველის სისხლში რომ შეატანოს, ან საშინელ ტანჯვით მოკვდება, ან მთელი ხორცი ჩამოსუია და ტიტელა ძელები-ღა რჩებათ. ზოგნიც აჯერებდნ ხალხს, რომ საკმაოა კაცი შეეხოს ამ შხამიან ხეს, ან უსუნოს, რომ იქვე სული გააყრევინოსო. ამ ხის ორთქლით გავსებული მის გარეშემა ჰერიც კი სწამლავს ცხოველსათ. ჩენი დროის მოგზაურებმა თუმცა ეს ყველა ძელად ნათქეამი საშინელება არ დაამტკიცეს, მაგრამ მაინც უარს არ ყოფენ, რომ ძელად ნათქეამი ბევრი წილი მართალი ურევია. მართლადაც რომ შევდგათ ფეხი იავს კუნძულის უტეხელ ტყის შუა გულში, იქ დაგვიახდება 7 ან 8 საქენის სიმაღლე მშვენიერად ტან-აყრილი ხე, რომელსაც ტოტები მხოლოდ კინწე-როში აქვს ჯრასასეით შემკვებილი. ამ ხის გარეშემო ვერ შეხვდებით ვერც ერთ მცენარეს რომ სილამაზით და სიმაღლით ამ შხამიან ხეს შეეღრძებოდეს. ამ ხის ნაზი კანიღან უხვად მჩქეფარებს მშვენიერი ფერის რძიანა წვენი და ვაი იმას ვინც კი ამ შხამიან რძიანა წვენს მიეკარება.

იმ ტყიღან, სადაც ეს შხამიანი ხეები იზრდებიან, ერთი ხევი ჩამოსდევს, რომელსაც ხეობა სიკვდილისა ეწოდება. მართლადაც და ეინც ამ ხევ ხევ შეცყვება, საშინელი სურათი წარმოუდგება: საითაც მიიხედავთ სხვა და სხვა ცხოველების ჩონჩხი და მძორი ჭრებებით ყრია. აქ გდია ძალოვანი ვეფხის მძორი, რომელიც როგორც ეტყობა მოწამლულ ცხოველების ხორცს დაჭხაბებია და თითონაც ზედ წაჲკვდომია, აქვე ყრიან დახოცილი ფრინველები, რომელნიც მოწამლულ ლეშით გამომძლარან და იქვე გაჲლეტილან. ხოლო რაც შეეხება საწყალ ბუზებს, ჭიანჭველებს და მრავალ სხვა მწერებს, იმათ ხომ ვინდა მოსთველის, აუარებელი ყრია. ახლა იკითხავთ, ნეტა რამ გაჲლიტა ამოდენა ცხოველები და მწერებით, ამას ადვილათ აეხსნით. შხამიან რძიანა ხეს ათას ნაირი კოლო-ბუზი და ჭიანჭველა ქცევა; ამ მოწამლულ მწერებს ფრინველები სიამოვნებით კენკავენ და მო-

წამლულ ფრინველებს შშიერი ტურა, მელა, მგელი გულიანად ჩაკ-
 ნატუნებენ, ამათ ლეშით კიდე საშინელი აფთარი და ვეფხი გამო-
 ძება და ყველანი კი გაჟღეტილნი იმ ტყის არემარეში, ლელე-ხე-
 ლბაში მოიქასებიან,



ხო ასეთი საშინელია ეს შხამიანი რძიანა ხე, მაგრამ კაცი
 მაინც შეუპოვარია. როგორც ზეეითაც ვსთქვით კაცი სულ იმის
 ცდაშია, შხამი და გესლიც კი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. აგერ
 დააკვირდით სურათს, თვით საშინელი ვეფხი რა საშინელ კრუნჩხეა—

ში გაშეშებულა და იქვე ხესოან ველურ კაცს რაღაც ჯოხი უჭირავს ვეფხისკენ გაშეერილი. ახლა იყითხავთ, შეულოცა იმ კაცმა თუ რა უყო, რომ ერთი ჯოხის გაშეერით ეს საშინელი მხეცი დაკრუჩხა და იქვე ბურთივით დასცა. ესეც ადვილი ასახსნელია. ცხელი ქვეყნების ველურმა ხალხმა დიდი ხანია გამოცდილებით იცის ამ ხევების რძის შხამიანი თვისება. ხომ ისეთი საშინელი შხამია ეს რძიანა, რომ თუ ადამიანის კანს შეატანა, იქვე სულს გაანთხვევინებს, მაგრამ კაცი მაინც შეუპოვარია. ადგილობრივი ველური ხალხი ისრის წვერებს მოსწამლავენ ხოლმე ამ შხამიან რძეში და ლულიანი ჯოხი რაღაც ნაირათ ისე აქესთ გამართული, რომ ამ წვერ მოწამლულ ისარს შიგ ჩასდებენ ხოლმე და შეილდისარივით ხმარობენ. რაკი მონადირე ამისთანა ისრებით შეიარაღდება, იმას არამც თუ ლომეუფხისა, ეშმაკისაც აღარ ეშინიან, მიდის სანადიროთ ვეფხზედ, დაუმიზნებს თავის ისარს ამ საშინელს მხეცს და საკმაოა ცოტაც არის ვეფხს მოწამლულ ისრით კანი გაეჩაპნოს, რომ ეს უშეველებელი მხედი, ერთს კი დაიკვენებს და საშინელ კრუჩხევით იქვე მკვდარი გაიშხლართება. გამარჯვებული მონადირე არხეინად მიეა ხოლმე და გააძრობს ვეფხს ჭრელ ძირფას ქათიბს.

მეცნიერებმა ყველა საწამლავს წინააღმდევი წამალიც უპოვეს, მაგრამ არ იქნა ჯერ აქნობამდე ვერა საშუალება ვერ აღმოაჩინეს, რომ ამ ხის შხამიან რძიანა წვენით მოწამლული კაცი საშინელ სიკედილისაგან დაიხსნან. ამიტომაც ეს საწამდაგი სე (Antiaris toxicaria) რისხევა ღვთისა და საშინელება მთელ კუნძულ ის მცხოვრებ-თათების.

მაშ ღმერთმა მშეიღობა მისცეთ. ნუ შევიშურებთ ცხელი ქვეყნების ხალხის ცხოვრებას—ნურც იმათი „ქვეყნიური სამოთხე“ გვინდა და ნურც ამდენი აუცილებელი საშინელება.

მაშ სჩანს, ჩვენს ყველაფრით შემკობილ საქართველოს მართლაც და არც ერთი კუთხე ქვეყნისა არ სჯობნებია.

ილიკო.



ოთხების თავის დასახლი

(დასასრული *)

V

Qოსების სიტყვა გამართლდა: შეიძლ წელიწადს ისეთი უხევი მოსახლი იყო, უკეთესი არ შეიძლებოდა. იოსებმა გამართა პურის ხაროები და აუარებელი პური მოაგროვა. მერმე შეიდი წლის ვან-მავლობაში თითქმის არაფერი არ მოსულა, ისეთი გვალვები და მოუსავლობა იყო. გაჩნდა საშინელი შიმშილობა არა თუ მარტო ეგვიპტეში, სხვა ქვეყნებშიაც. იოსებმა გააღო პურის ხაროები და დაუწყო პურს გაყიდვა.

ხალხმა რომ გაიგო, ეკვიპტეში პური იეფად იყიდება, იწყო მოსელა ყოველ მხრიდან. იოსებმა იცოდა, რომ ადრე თუ გვინდისი ძმებიც მოვაღიდენ პურის საყიდლად, და ამიტომ უბრძანა მოურავებს, ვინც-კი სხვა ქვეყნიდგან მოვიდეს, ისე პური არ მიჰყიდოთ, მინამ ჩემთან არ მოიყენოთ.

მართლაც, როცა ურიების ქვეყანაში შიმშილი გაჩნდა და პური არსად იშვებოდა, იაკობმა დაუძახა თავის შეილებს და უთხრა: „წალით, შეილებო ეგვიპტეში, წაილეთ ფული და პური მოიტანეთო“. შინ მარტო ერთი უმცროსი ვაჟი გაუშეა, ბენიამინი: იოსების ძმები გაემგზაერნენ ეგვიპტეში.

იქ, როცა მიაღწიეს და პურის ყიდვა დაპირეს, ისინი იოსებს წარუდგინეს.

იოსები შეენიერ სასახლეში იდგა, მრავალი ყმა და მოსამსახურე ყავდა და მეფესავით იყო გამოწყობილი. მისი ძმები, აბა, რას იყიდებდენ, თუ ეს დიდი კაცი მათი ძმა იყო. მის სასახლეში რომ შევიდენ, თვალები აუკრიალდათ და იოსებს მდაბლად თაყვანი სცეს.

იოსებმა კი იმ წამსევ იცნო თავისი ძმები, მაგრამ თავი შეიკავა და გამოცდა მოინდომა: უნდოდა გაეგო, კიდევ ისეთი ბორტი იყვენ, თუ არა იგინი. ამიტომ თარჯიმნის პირით დაუწყო მათ გამოკითხვა.

„სადაურები ხართ თქეენ და ან რისთვის მოსულხართ აქაო“?

იოსების ძმებმა უპასუხეს თარჯიმნის: „მოახსენე დიდ ბატონს, ჩეენ ქანანის ქვეყნიდან გახლავართქო; ჩეენში დიდი შიმშილობაა და პურის საყიდლად გიახელითთქო“.

*) იხილე „ჯეჯილის“ მე-4 ქ-რი, 1893 წლისა.

იოსები თითქოს, გაჯავრდა და წყრომით უთხრა მათ: „სტყუ-ით! თქვენ, გეტყობათ, კაი კაცები არ უნდა იყვეთ. თქვენ პურის-თვის კი არ მოსულხართ, გინდათ ჩვენი ქვეყანა გასინჯოთ, მერმე წაგენიდეთ თქვენ ხელმწიფეს უამბოთ და თავს დაგვეცეთო“,

მისმა ძმებმა რომ გაიგონეს, შიშით აკან კალდენ და მოახსენეს: „არა, ბატონო, არასოდეს ჩენ მაგგვარი კაცები არა ვყოფილვართ. ჩვენ ყველანი ერთი მამის შეილები ვართ. სულ თორმეტი ეიყავით, მაგრამ ერთი ძმა აღარ გვყავს, დავკარგეთ და ერთიც შინ დარჩა მოხუცებულ მამასთან.“

იოსებს ძრიელ გაეხარდა, მამის სიცოცხლე რომ შეიტყო. მაგრამ ძმებს მანც არ ვაუტყდა და უბრძანა: „თუ თქვენ მართალს ამბობთ, ერთი ძმა აქ გაუმეით ძევლად, თქვენ-კი წადით შინ. პურიც წაილეთ და ის ძმა აქ მომგვარეთ, შინ რომ გაგიშვიათ. მაშინ დავრჩენებულდები, რომ მართალი ყოფილხართ. უმისოდ კი აღარ დამენახოთ თვალით“.

იოსების ძმებმა არ იცოდენ, რომ მას იმათი ენა ესმოდა და ერთმა ძმამ უთხრა სხევებს: „ახლა ხომ ხედავთ, რომ ღმერთმა დაგვსაჯა ძმის გაყიდვისთვის. აյი გიოხარით მაშინ, როცა სტიროლა და გვეხვეწებოდა საწყალი, თავი დაანებეთ თქო. რატომ არ დამიჯერეთ? აბა, მისმა ცოდვამ ახლა გვიწია!“

იოსებს იმათი ენა კარგად ესმოდა; მაგრამ, ვითომ, არც-კი გაუყონია, რას ანბობდენ. მან ერთი ძმა, სიმეონი, იქ დაატყვევა, სხევები კი გაუშვა. მერე მოურავს უბრძანა, რაც ფული გერგოს მაგათვან პურში, უკანე ჩაუდე ჩუმად ყველას ტომრებშიო.

იოსების ძმებმა წამოილეს პური და შამოვიდენ. შინ რომ მოვიდენ, ყველაფერი უნდეს მამას დაწერილებით. როცა პური დასცალეს, ყველამ თავიანთ ტომარაში მიცემული ფული იპოვა. ძრიელ გაუკვირდათ. იაკობიც შეწუქდა, მაგრამ შეილებმა ფიცით დარწმუნეს, არ ვიცით, როგორ მოხდა ესაო.

იაკობი ჯერ უარზე იდგა და არას გზით არ უნდოდა ბენიამი. ნის გაშვება.

„იოსები აღარა მყავს, სიმეონიც იქ დაუჭერიათ და ახლა გინდათ ბენიამინიც წამარიეთო“, ეუბნებოდა შეილებს.

შეილებმა ბევრი უჩიჩინეს, პირობაც დაუდევს, ჩენ გვანდე და უკანე მოგვერითო, მაგრამ იაკობი მანც უარს ამბობდა.

გავიდა აშ გვარად მთელი წელიწადი. შიშილობამ იმატა, თორემ არ იყლო. მოტანილი პურიც დაილია. მეტი გზა აღარ იყო,

ითხების თავგადასავალი

კიდევ უნდა წასულიყვნენ იაკობის შეილები პურისთვის ეგვიპტეში. მაგრამ ისინი უარზე იდგენ და ეუბნებოდენ მამას, რომ თუ ბენიამინს არ გაგვატან, ისე ვერ წავალთ.

რა უნდა ექნა საბრალო იაკობს. თუ არ გაეშვა შეილი, შიში-ლით ამოწყდებოდენ, გაეშვა-და, ვაი თუ ეფეც დამეკარგოსო, ფიქრობდა. მაინც კიდევ, რაკი სხვა სახსარი აღარ იყო, ტირილით გამოეთხოვა ბენიამინს და გაატანა შეილებს. თან ღმერთს შეაეყდრა ისინი და ეგვიპტის მთავარსაც ძლევენი გაუგზავნა. ის ფულიც, მისმა შეილებმა რომ ტომრებში იპოვეს, უკანვე გაატანა მათ.

VII

იოსების ძმები რომ ეგვიპტეში მივიდენ, მის წინ წარდგენ და ძლევნი მიართეს. იოსებს ძრიელ გაეხარდა, ძმები უფრო კარგათ მიიღონ და მათი მამის ამბავიც ჰყიოთხა. ძმებმა თაყვანი სცეს და მოახსენეს, კარგად გახლავს ოქვენი მონაო მერმე ამიაიღეს უკან მიტანილი ფულები, ბოლიში მოიხადეს და მიართეს. იოსებმა დაუყვარა მათ და უთხრა: „ნუ სწუხარო, ეგ ფულები ღმერთს მოუტია თქვენთვისაო“. მერმე სიმეონიც მოაყვანინა, შეუყვანა ყველა ძმები ცალკე სადგომში და სადილათ მიიპატიყა.

იოსების ძმებს ძრიელ უკეიირდათ ასეთი მოულოდნელი ქცევა იოსებისა და არ იცოდენ ჩით აეხსნათ.

იოსებმა მაინც კიდე არ გაუმხილა მათ, „თქვენი ძმა ვარო“. სადილს შემდეგ მოურავს უბრძანა, მიეცი ყველას პური და გაისტუმრეთ. მაგრამ ერთი ოინი კიდე უყო ძმებს.

მოურავს უბრძანა, ბენიამინის ტომარაში ჩუმად ჩემი ვერც-ლის ბადია ჩადევიო. მერმეთ, როცა მისი ძმები გახარებული წამოვიდენ და ქალაქს გაცილდენ, მოეწია უკან მათ მოურავი, გაახერა და უთხრა ოქვენ ჩემს ბატონს ვერცხლის ბადია მოპარეთო.

ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ არც ერთს ბადია არ მოუპარავს:

„რასა ბრძანებ! ჩენ მაგისთანა საქმეს როგორ ჩაეიდენდით! თუ კიდე არა გჯერა, აი, გაფეიშინჯე ტომრები და, ვისაც შენი ბატონის ბადია უპოვო, მას თავი გააგდებიეთ და ჩენც ყველანი თქვენი მონები ვიქნებითო“.

გაშინჯეს მართლაც ტომრები და ბოლოს ბენიამინის ტომარაში იპოვეს.

საბრალო იაკობის შეილებმა არ იცოდენ, რა ეთქეათ. ისინი ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ნაირად გაჩნდა ბენიამინის ტომარაში იოსების ბადია. სხვა რაღა გზა ჰქონდათ, დაბრუნდენ უკან და კიდევ იოსებთან მიეციდენ.

„ეს რა ჰქენით“? გაჯავრებით ჰყიოთხა მათ იოსებმა.

„რაღა გვეთქმის“? მოახსენა ერთმა ძმამ. „ეხედავთ, ღმერთმა დაგვესაჯა. სხვა რა გზაა? ყველანი თქვენი მონები ვიქნებით, ოლონდ კი წუ დაგვხოცოთ.“.

„არაო“, უბრძანა იოსებმა. მე აკრე სასტიკად არ მოგეპყრობით: ჩემთან მონად მარტო ის უნდა დარჩეს, ეინც ჩემი ბალია მოიპარა“.

მაშინ დავარდა მას წინ ერთი ძმა, იუდა, და ტარილით მოახსენა: „ბატონი! უმაგისოდ მამასთან წასელა არ შევეიძლია. ეს ამ-ბაეთ რომ მან გაიგთს, ჯავრით შოკვდება. თუ შეიძლებოდეს, მე დავრჩები თქვენ მონად მაგის მაგიერად, ეკ კი გაუშეით მამასთან“.

იოსებს მოეწონა ძმების ქცევა, მეტი ველარ მოითმინა, ალარ გაუძლო გულმა და გამოუცხადა თავის ძმებს:

„მე ვარ თქვენი ძმა იოსებით“.

მისმა ძმებმა რომ ეს გაიგონეს, შიშისაგან ენა ჩაუვარდათ, — ეგონათ ყველას თავს გაგვაგდებინებსო.

მაგრამ იოსებმა გაამნენეს ისინი და უთხრა: „წუ გეშინიათ; რაც მოხდა, ლვის განგება იყო, რომ ამოდენა ხალხი შიმშილით არ ამოწყვეტილიყო“. თან ცრემლები მოერია, გადაეხვია ყველას სათითაოდ და გადაკონცა. მერმე უთხრა თავის ძმებს, წალით საჩქაროდ, ახარეთ მამაჩემს და უთხარით, მალე მოვიდეს.

როცა ფარაონმა გაიგო იოსების ძმების ევეპტეში მოსელა, იამა, რადგანაც იოსები მას ძრიელ უყვარდა. დაიბარა იოსები და უბრძანა, საჩქრები გაუვზავნე მამაშენს და აქ მოიწყიო. თანაც მეფემ საკუთარი თავისი ეტლები გაუვზავნა იაკობს,

იაკობის შეილები საჩქაროდ შინ დაბრუნდენ და ყველაფერი უმა-ბეს მოხუცებულ მამას. იაკობს ჯერ არც-კი სჯეროდა, მაკარამ, როცა მეფის მშენებირი ეტლები ნახა, სიხარულით გულმა ცემა დაუწყო, ღმერთს ჰადლობა შესწირა და სიხარულის ცრემლები გადმოყრა.

შემდეგ აიბარება და თავისი შეილებითა და საცხოვრებლით ეგვიპტეში გაემგზავრა.

იოსები მოუთმენლად ელოდა თავის საყვარელ მოხუცებულ მამას და, რომ გაიგო მისი მოახლოება, წინ მიეგება. გადაეხვიენ ერთმანეთს მამა შეილი და ბევრი სიხარულის ცრემლები დალგარებს.

იოსებმა მამა თვითონ მეფეს წარუდვინა. მეფემ დიდი პატივით მიიღო ივი, დიდს ხანს ელაპარაკა და წლობა ჰეითხა. მერმეთ ერთი შეენიერი აღვილი აჩუქა და უბრძანა იქ დასახლებულიყვენ ისა და მისი შეილები.



მეგობრების დეკნა

ერთს ვენახში სცხოვრიბდენ: ზღარბი, თხუნელა და
 მიწის ბაჟაუი, ანუ გომბიო. ზღარბი გველებსა ჭხო
 ცდა, თაგვებს კატასავით მუსრს ავლებდა, ლოკოკინებსა
 და მატლებს ბევრსა ჭელაპავდა. თხუნელა მიწაში დაძუ
 რებოდა და ქლებდა ეოველ გვარ ჭიაღუასა, რომელნიც
 ვაზის და სეხილის ფესვებს ემტერებიან, აფუჭებენ. გომ
 ბიო დამდამობით ბოსტანში ნადირობდა და ეოველს
 საათში ოცხედ მეტს ჭიასა და მატლს იჭერდა, ჭელავდა
 და სჭამდა. სამივენი ვენახისათვის დიდად სასარგებლონი
 იუგნენ და მის ჩატრონს მვირფასს სამსახურს უწევდენ.
 მაგრამ ეს არ იცოდა უკიცმა და აბეზარმა ვანომა. ეს გა-
 დაემტერა სამივეს ფრიად სასარგებლო ცსოველსა და იქამდის
 არ მოისვენა, ვიდრე უკელანი არ გამოასალმა სიცოცხლესა
 თავისი ვენახის საზიანოდ და ოჯახის საზარალოდ.

ბავშვებო! სელს ნუ ასლებოთ ზღარბსა, თხუნელასა და
 მიწის ბაჟაუსა; მოსისხლე მტრები არიან ჩვენის ვენახების
 და ჭინახულის მტრებისა, ქლებენ მათ, მოსავალს ეხმა-
 რებიან, დიდს სიკეთეს გვიშვრებიან...

იაკობ სვიმონიძე.

თ ა მ ა შ ო ა ა

სამ ქვა-გაჭყანა

(წარმოდგენილი თ. რაზიკაშვილის მიერ)

ქმ თამაშობაში ორიდან ექვესამდე ბიჭი შეიძლება იყოს. სწორ ადგილზედ ოც ნაბიჯს გადაზომვენ; სამს დიდს ქვებს იქითა პირზედ დააუყდებენ, სამს აქეთა პირზედ; სამი ბიჭი (ან ორი, ან ერთი) იქით არის, სამი აქეთ, უნდა ქვებს ქვები ესროლონ. ჯერ ამ მხრიდან ესერიან ყველა თითო ქასა; რამდენსაც მიარტყამენ იმ იქითა ქვებს, იმდენი ქვა უნდა აიღონ იქითა მხრიდან. ახლა იქითები ესვრიან პატარა ქვებს აქეთა დიდობინ ქვებსა. იმას ცდილობენ, როგორმე მოარტყან. რამდენსაც მიარტყამენ, იმდენს ქვას მოაშორებენ. როდესაც რომელსახე მხარეზედ ქვები აღარ იწნება, მაშინ ეს მხარე დამარტყებულია. იქითა მხარე გამარჯვებულია, რადგან იმათ მოარტყეს ქვებსა. დამარტყებულები თავის ადგილზედ დგებიან და გამარჯვებულები თავის ადგილზედ, იმათ შუაზედ ოც ნაბიჯია. იქით ისინი გაიქცევან და აქედან ესენი უნდა გამოუჩვენ; სანამ არ დაეწევიან, უნდა ირბინონ. რა ადგილასაც დაეწევიან, დადგებიან. გამარჯვებულები ასედებიან ზურგზედ დამარტყებულებს. ამათაც უნდა წამოიყვანონ ისინი იქიდან, თუნდა ასი საფრინიც იყოს და თავის ადგილზედ მიიყვანონ. მერე ისევ დაიწყება თამაშობა. რომელი მხარეც აჯობებს, ისევ ის შეაჯდება. ეს თამაშობა იმით არის კარგი, რომ თვალის ხაზს აკითარებს, კაცი სწორედ სროლას სწავლობს.

პ ა ტ ა რ ა ვ ლ ე ნ ე

ელენე მაღიან გახარებულია. დღეს მისი დაბადების დღეა, და ბაბომ აჩუქა ვერცხლის სამაჯური. ამას ამის მეტად არა ჟეონია ასეთი ძალიფასი ნივთი და დაჭრის

აქამდის ეოველთვის უულს აჩუქებდენ და ესეც დარიბებს ურიგებდა, ეს სამაჯური ბებიის საჩუქარი რომ არ ეთვითილიერ, თავისითვის არ გამოიმეტებდა. ამასაც იმათ უწილადებდა.

რა ჟენას, რომ კაი გულისაა და ეცოდებიან დარიბები.

ახლა ეს სამაჯური ისე შექნის ამას, რომ თვალს არ აშორებს!




ବାଲକାଳୀ ଏହୁଙ୍ଗେ



ეროვნული
მინისტრი

61

ანდაზები, გამოცანები და რეპუსი



ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(წარმოდგენილი გ. გ—საგან)

ბევრ ფაფას ბევრი სულის ბერება სჭირია.

ჭინჭრაქას ბუმბულში აწენდენ

და ის კი თავვის სოროში იხედებოდა შესაძრომათ.

დაშინებულმა ძალლმა ცხრა წელიწადი ხეს უყეფა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი ი. გომელაურისაგან)

პირქვე საცხე, გულ აღმა ცარიელი.

ახალი ვიყავ ბრჩა ვიყავ, დაებერდი დავთვალიანდი.

მაღლა ცამან მოიწმინდა

მოისკამი სკამურიაო,

დაბლა მელამ კუდი ჩაჰკრა,

ჩაჰკრა, ჩაიელარუნაო.

(წარმოდგენილი ლუარ. ციციშვილისაგან)

გამოცანას მოგახსენებ, გამოიცან, მითხარ, მალე!

საქონელი მოემწყედიე, რაც ხელთ ვიგდე, მოეიპარე,

მათი სახლი კი ერთს წამში ფანჯრებიდან გახტა გარე,

ოუ ვერ მიხედი, ვირჩევ: ჩქარა, მკითხავები დაიბარე.

ხეა, ხეა, ხეა მბალი,

წვერობია კახა მბალი,

არც იჭმება, არც ისმება,

არცა კაცი შეისვლება.

სახალხო ლექსი

(ჩაწერილი დ. ნახუცრიშვილისაგან)

კაცმა უნდა მართალი თქოს,
 შიგ ტყუილი არ გარიოს;
 ღმერთიც უნდა მოიგონოს,
 კაცი რო კაცს მოერიოს.

(წარმოდგენილი კოტე გძელისაგან)

რა ქნას კარგმა მონაზდემ
 თუ დუშაში არ მოუვა,
 კაცი რომ გალარიბდება,
 თავში ჭკუა გამოუვა,
 ზოგი ძილად მივარდება,
 ზოგსა ძილიც არ მოუვა.

ჭ ჭ ა

(წარმოდგენილი ნახუცრიშვილისაგან)

მეფემ თხა დაკლა ფაშამ ფური,
 ყოველი სახელმწიფო თითქმის
 ახალ ციხე ქალაქის აშენებას ცდილობს.

ჩქარა გამოსათქმელი

(წარმოდგენილი ლუარ. ციციშვილისაგან)

ეს ჩემი ჩიტ წრიპ-ჭიკჭიკ ყარანა თუ მე არას მეჩიტ,
 მე წრიპ, მეჭიკჭიკ ყარანება, შენ რალას გეჩიტ, გეწრიპ,
 გეჭიკჭიკ ყარანება.

(წარმოდგენილი ს. დათეშიძისაგან)

შენი თხაი რქა კაჭუჭი ჩემსა თხასა რქა კაჭუჭსა
 რას ერჩოდა, რას ებრძოდა, რას ერქაკაჭუჭებოდა.

ა კ რ ო ს ტ ი ი ს ი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

მედგარის ჭექა-ჭეხილით, ღრუბლებში ელვა ასტყდება,
 ელვარებს წითლად. ხაზ ხაზად, ღადი ჭექის ღროს გაჩნდება.
 ხე ტყეს შემუსრავს, სახლს ხერეტავს, კლდეცა მის ძალით გასკდება,
 იგი ანდამატს არ ხვდება, თუ წყალი ღახედა გაქრება.

სჩაგრავს გულს ბევრის კაცისას
 ის უმეცრებით შობილი,
 ლრმად ამჩნევს დაღსა ეისთანაც
 არის ის მიკედლებული,
 რეცხავს ქვეყანას ცრემლებით,
 იზრდება შურის ძიება
 ბევრს ნიჭაც ვკარგავთ მის გამო
 ეს ჩვენ არ გვეპატივება.

მატემატიკური გამოცანა

(წარმოდგენილი ნ. ჟღენტისაგან)

დას ჰყითხეს: რამდენი და გყავს? დამ მიუგო: იმდენი და მყავს,
 რამდენიც ძმა. მერმეთ ძმას ჰყითხეს: რამდენი და გყავს? ძმამ მიუ-
 გო: ორჯელ მეტი და მყავს ვინემ ძმა. გამოიცანით რამდენი და
 ყოფილა და რამდენი ძმა?

პ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკისგან)

ზედი ზედ ჩქარა რომ სთქვა ორჯელა
 ჩემი პირველი მოკლე მარცვალი,
 სიტყვასა ჰპოვებ, რაზედაც ყველა
 ბალებს უჭირავთ სიხარბით თვალი.

ახლა პირველს რომ მიეკავშიროს
 ერთი მარცვალი სულ სხვა, ახალი, ---
 ლითონს მიიღებ მეტად საჭიროს,
 რომელსაც აღნობს ადვილად ალი.

მას მიაგლისე ბოლო ვით ფისი,
 ზედ დაემჩნევა ყველაფრის კვალი;
 თუ ჩქარა გნებავს პოენა ამისი,
 მდინარის პირზე არის მრავალი...

მთელს მუდამ ხმარობს სწავლულ მოსწავლე,
 ტვირთად მიდეია მე მათი ვალი;
 თუ გამოიცან ხელი მომავლე,
 თუ ვერა, რა ვქნა, მე არ მაქეს ბრალი!..

ვ ე პ ი ა ვ

რ ე ბ უ ს ი



(ცემის ღ)

IV ქ-ის გამოცანების ახსნა:

1) ირმის რქა, 2) სახეჩელი, 3) ქარი, 4) წინდის ჩხირები, 5) კუჭი.

ზმები: წვიმა, რომი, სიონი, მელა, ვარდი, „ცდა“, ბარი, ტასო, ურემი.

ისტორიული აკრთასტიხი: შალვა.

აკრთასტიხი: —ყიფიანია.

შარადა: მამული.

რებული. სამოთხის მსგავსო, ტურფა ქვეყანავ!

რისთვის ხარ სევდით მარად მოცული?

ნუ თუ გეონია უწინდებულად,

ისევ არა სძგერს ქართველის გული?

არა გეიშაეს რა, კვალად ანთია

მასში ლამპარი შუქ მადლიანი,

მხოლოდ არა სხანს, როგორც ცისკარი,

რომელსაც ჰფარაეს ცა ღრუბლიანი.

შარადა გამოიცნო ქუთაისის გიმნაზიის მოწაფემ ლელო თუმა-
რიშეიღმა. გამოცანები და ზმები ახსნებ: სოფელ მეჯერისხევის სკო-
ლის მოწაფემ ვლადიმერ ეჯოშეიღმა და მეცნიერობისის სემინარიის 1
კლასის მოწაფემ გაბრიელ ბარნაბეშვილმა:

რებული ახსნებ პირველად თბილისში მესამე გიმნაზიის პირვე-
ლი კლასის მოწაფემ ლევან ჭალაბლეშვილმა და ქალაქ ქუთაი-
სის საკუთრაო სკოლის მოსწავლემ ბართლომე კოლაძემ, და ამათვე
მიიღეს სახუქრები,

→ წერდაქტორ-გამოცემელი სხ. ღერმანიშვილი წერეთლისა. წერ-